

F-567
1965



საქართველოს
ენციკლოპედია
საერთაშორისო
ენციკლოპედია

2 1965



საქართველოს თეატრალური საზოგადოების
გ ა რ ა ნ ტ ი ა

№ 2 (31)

F-2935

19 თბილისი 65



რედაქტორი — ილია თავაძე

პეგ. მდივანი ლილი ლომთათიძე

საკრედიტო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი
ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მჭედლიძე,
ბ. ქლენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

თანამედროვეობა, უპირველეს ყოვლისა

ფარდა დეშა. თეატრალური სეზონი დამთავრდა. სცენაზე და სცენის მიღმა „წუთიერი“ სიმშვიდე დამკვიდრდა. სახაფხულო შესვენების შემდეგ კვლავ დაიწყება მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრება. თეატრების კარი გაიღება და რეჟისორთა, მსახიობთა და მსაყურებელთა „მყუდროებას“ მშფოთვარე და მოუსვენარი ფიქრთა ჭიდილი დაარღვევს.


რით დავამთავრეთ და რით უნდა დავიწყოთ? როგორი იქნება მომავალი სეზონი. რა უნდა მივიღოთ და გავაღრმავოთ განვლილისა და რა უნდა გადავფასოთ? — აი, ის კითხვები, რომლებიც ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს და ჩვენი თეატრალური კულტურის გულწრფელ გულშემატკივარს აწუხებს და ინტერესებს. რამდენადაც აუცილებელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, იმდენად რთულიც არის. რთულია კრიტიკულად შეხედოთ საკუთარ ნაბიჯს, მასში რაციონალური ირაციონალურისაგან გარჩიოთ. შემოქმედებითი ძიება რთული პროცესია. იგი დიდ ტკივილებთან არის დაკავშირებული. თუ შემოქმედი უცბად ვერ იპოვის მობრუნების წერტილს, ეს სავევებით კანონზომიერია. იგი გამოცდილებამ უნდა დაარწმუნოს და დააჯივოს ამა თუ იმ არჩევანის ავ-კარგში.

როცა განვილილ თეატრალურ სეზონს თვალს ვავლებთ. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს აზრთა ცხოველი ჭიდილი. შეიძლება აზრთა ამ ჭიდილში, ამ წინააღმდეგობაში ბევრი რამ უმნიშვნელოდ და უპრობლემაოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ დამაფიქრებელი და პრინციპულიც ძალიან ბევრია. აზრთა მძაფრი ჭიდილი, ჩვენ ვიტყვით, მკვეთრი დაპირისპირება და შეუპოვარი შერკინება, რის მოწოდებაც ჩვენ ვართ დედაქალაქის თეატრალური ცხოვრებაში, არ შეიძლება შემთხვევითად მივიჩნიოთ და ვისიმე ახირებული აზრის ნაყოფად ჩავთვალოთ. ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში მიღებისა და უარყოფის სერიოზული პროცესები ხდება და მას საჭირო პასუხისმგებლობით უნდა მოვეყიდიოთ.

ღრმად უნდა ჩავუკვირდეთ მოვლენებს და აზრთა და ფორმთა ამ დაუცხრომელ დუღილში კარგი ცუდისაგან გამოვარჩიოთ, პირველს გაბედულად დაუჭიროთ მხარი, მეორეს კი — მოურიდებლად შევებრძოლოთ.

შემოქმედებითს გონებას მარად აწვალდება ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემა. ხელოვნების განვითარების მთელ მანძილზე მუდამ ერთმანეთს უპირისპირდებოდა ძველი და ახალი, მათს ჭიდილსა და ბრძოლაში იზადებოდა პროგრესული, სიცოცხლისუნარიანი. იზადებოდა ახალი, რომელსაც მომავალი ეკუთვნოდა. ამ ახალში ბევრი რამ დროთა განმავლობაში კვლავ ძველდებოდა და შეცვლას საჭიროებდა. ბევრი კი ისევ ინარჩუნებდა სიცოცხლეს და ახლის ორგანიულ ნაწილად ხდებოდა, ახალში აგრძელებდა სიცოცხლეს. ასე განავტობდა მარადიულ არსებობას საუკეთესო ტრადიციები, რომლის გარეშეც ახალს არსებობა არ უწყურია. მაგრამ ამ შერკინებისას ახლის პრეტენზიით იშვიათად როდი გამოსულა სარბიულზე ცრულ ნოვატორობა; როგორც არ შეიძლება ყველაფერი ძველი დავიკვათ და ცოცხალი ტრადიციების საგანძურში შევიტანოთ, ისევე არ შეიძლება მივესალმოთ ყოველგვარ „ახალს“ და ჭეშმარიტ ნოვატორობად მივიჩნიოთ; ხელოვნებაში არაფერი ისე საზიანო არ არის, როგორც „ნოვატორობის“ გარსით შემოსილი უხამსობა, ფორმალისტური ოინაზობა, რასაც უმოწყალოდ ეწვირება აზრი და იდეა, ადამიანთა მღელვარე ვნებები და ინტერესები, მაღალი იდეალები; რითაც კაცობრიობა სულდგმულობს.

ნოვატორობა. — პირველ ყოვლისა. — აზრის განახლების ნაყოფია. მხოლოდ აზრს შეუძლია ჭეშმარიტად განაახლოს ხელოვნება, მისი ფორმები და ხერხები. როცა ჭეშმარიტ ხელოვანს სათქმელი აქვს, ის ეძებს და უქველად პოულობს სათქმელის გამოსახატავ შესაფერ ფორმებს. ის კი, რომელსაც სათქმელი არაფერი აქვს, ფუჭ ძიებაში კლავს დროს



და თავის სიკარგიელს „ნოვატორობის“ პრეტენზიით ფარავს.

ახლის ძიებაში უტყუარ ლამპარს ეპოქის მოთხოვნილებები წარმოადგენს. ხელოვნება მხოლოდ მაშინ ხდება მასების კუთვნილებად, როდესაც ის თავისი დროის მოწინავე იდეებით არის გამსჭვალული და ზედმიწევნით ესმეტურება ხალხის ლამაზსა და დიად მისწრაფებებს. ამალეებს ადამიანის სულს. შინაარსს აძლევს მის ცხოვრებას და მონაწილეობას იღებს უკეთესი მერმისის მშენებლობაში.

დღეს, როცა მთელი ხალხი შესაძლებლობის დაუზოგავად იღწვის კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, ხელოვნებისათვის არ არსებობს იმაზე უფრო წმინდა და მაღალი იდეალები, ვიდრე კომუნისმის იდეალები. თეატრი ისტორიულად თავისი მონაწილეთა და ფორმით უღარესად ხალხურია. ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს და მის სულეგრ ამალეებას ემსახურება. მისი კრიზისი. დაქვეითება მუდამ იმ დღიდან იწყება. როცა კავშირს სწყვეტს ეპოქის აქტუალურ მოთხოვნილებებთან და უბრალოდ გასართობ სანახაობად იქცევა. ცხოვრების ზედაპირზე ხოხავს და მის სიღრმეში არ იჭრება, მეორადი მნიშვნელობის ამბებით კმაყოფილდება.

საბჭოთა თეატრი, თავისი ბუნებით, თანამედროვე თეატრია. შეიძლება თამამდ ითქვას, რომ არც ერთი დროისა და არც ერთი ქვეყნის თეატრი ისე ორგანულად არ ყოფილა დაკავშირებული თავისი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან, როგორც საბჭოთა თეატრი. იგი აღმოცენდა და განვითარდა ცხოვრების განახლებისათვის, ადამიანის ბედნიერებისთვის ბრძოლაში. ამდენად, იმავე დროს, ის უღარესად პატრიოტული თეატრიც არის. საბჭოთა თეატრი საბჭოთა ადამიანის პატრიოტული გრძობების, მისი ინტერნაციონალური მისწრაფებების მაღალი ტრიუმფია. და ყოველი კოლექტივის ღირსება-ნაკლოვანებანი იმით იზომება, თუ რამდენად ამართლებს ის ამ დიდსა და საპატიო მოვალეობას.

გასული სეზონი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რეჟისურის საერთო დონის მაღლება. ამ სეზონშიც შესამჩნევი იყო გამოცდილი ოსტატებისა და ახალგაზრდა რეჟისორების ნაყოფიერი მუშაობა. როდესაც


ახალგაზრდა რეჟისორთა ნამუშევრებს ეცნობით, სიამაყის გრძობა ვიპყრობთ, უნდა გავხაროთ, რომ მარტო ნიჭით კი არა. ოსტატობით იქცევენ ყურადღებას. ჩვენი დედაქალაქისა და პერიფერიის თეატრებში საიმედო ძალები მუშაობენ, ბევრ მათგანს უნარი შესწევს სწორად წარმართოს თეატრის მუშაობა, საკუთარი ხელოვნებით ჩვენი სარეჟისორო კულტურა გაამდიდროს.

ამ წარმატებების მიუხედავად, საფუძველი არა გვაქვს ახალგაზრდა რეჟისორების როლი ჩვენი თეატრებში გადავაფასოთ, გავაზვიადოთ და მათი მუშაობის ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარე არ შევეამჩნიოთ. ახალგაზრდა რეჟისორების ერთი ნაწილი ზედმეტად გატაცებულია უცხოური პიესებით, ზოგჯერ არც კი დაძებენ იმას, თუ რას აძლევს ესა თუ ის უცხოური პიესა საბჭოთა ადამიანის სულსა და გულს. ინსცენირებებმა ხომ წალეკა სამდელი დრამატურგია. ინსცენირება არ არის ნამდვილი დრამატურგია. იგი სუროგატია და სუროგატს არ შეუძლიან ეთილ საქმეს დიდი სამსახური გაუწიოს.

სერიოზული ნაკლოვანებების შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრმა „სიბრძნე სიცრუისა“-ს სახით საკუთრადღებო სპექტაკლი შექმნა. მაგრამ თეატრი არ უნდა შეჩერდეს. ამ წარმატებამ თვითკმაყოფილება არ უნდა გამოიწვიოს, მან ღრმად და ვაბედულად უნდა ასახოს თანამედროვე ცხოვრების მაჩასიყება.

თბილისისა და პერიფერიის ბევრმა თეატრმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. ეს წარმატებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იქ, სადაც უფროს და უმცროს თობა-თა შემოქმედებითი ძალების პარამონიული შეარწყმა მოხდა. სადაც პატივის სცემენ, იცავენ და ანვითარებენ სოციალისტური რეალიზმის თეატრის მონაპოვარს.

თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის და სხვა თეატრების მუშაობა გარყვეული აღმავლობით ხასიათდება. მათს ყოველ დადგამში შემოქმედებითი ძალების ერთიანობა და მიზნის სიკმაღდე მკაფიოდ ვლინდება. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება სისტულით ასახონ საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, გვიჩვენონ მისი მისწრაფებები და ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი პათოსი. რასაკვირველია, სწორი არ ჩქნებოდა მათი ყოველი პიესა მიღწევად ჩაგვეთვალა. მთავარი ნაკლი. რასაც ხაზი უნდა ვაესვას, ეს ის



არის, რომ თანამედროვე ცხოვრების ამსახველი სპექტაკლები მხატვრული ღირსებით ყოველთვის შესაფერ დონეზე არა დგას. ჯერ ერთი, თეატრები დადგამდნენ ცოტას მუშაობენ ავტორებთან პიესების მხატვრულ სრულყოფაზე. მეორეც, — თანამედროვე პიესის დადგმის დროს იმ გულმოდგინებას არ იჩენენ, რასაც იჩენენ კლასიკური პიესების დადგმისას. ამიტომ ეს სპექტაკლები ზოგჯერ ნაკლებად ემოციური გამოდის.

საბჭოთა თეატრისათვის მთავარი თანამედროვე თემატიკაა. ძირითადად იგი თანამედროვე დრამატურგიას უნდა ემყარებოდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრი თვითონ უნდა ებრძოდეს სუროვატს და ნამდვილი დრამატურგიის განვითარებისათვის ზრუნავდეს. იკრებდეს თავის ვარშემო ნიჭიერ მწერალ-დრამატურგებს და ეხმარებოდეს მათ სრულყოფილი დრამატული ნაწარმოების შექმნაში. როგორც თეატრი არ არსებობს უდრამატურგოთ, ისე დრამატურგის შემოქმედებითი ცხოვრებაც უთეატროდ წარმოუდგენელია.

ჩვენმა წამყვანმა თეატრებმა კი, ბოლო დროს, შესუსტეს დრამატურგებთან კოცხა-და უსისხლოდ მიიღეს თანამეგობრობა და უსისხლოდ იმსცენიერებებზე გადავიდნენ. ეს იმსცენიერებები როგორც დრამატურგიის განვითარებაში, ისე თეატრის ცხოვრებაში ამინდს ვერ შექმნიან.

ბევრი რამ საყურადღებო იყო აქტიორული შემოქმედების დარღვივ. სეზონის მანძილზე სცენის მრავალმა გამოცდილმა ოსტატმა და ახალგაზრდა მსახიობმა გაგვახარა და მოგვიხიბლა ხალასი. ჭეშმარიტი შთაბეჭდილებული თამაშით.

სერიოზული პრეტენზიები ვგაქვს თეატრალური კრიტიკის მიმართ. იწერება ცალკეული კვალიფიციური რეცენზიები, მაგრამ თეატრის დღევანდელი ვითარების ობიექტური, განზოგადებული შეფასება არა ხდება. ცხადია, ძნელია კრიტიკულად სუბიექტური მომენტის აბსოლუტური გამოთიშვა. მაგრამ მარქსისტულ კრიტიკაში იგი მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ, ხელოვნების მოვლენების შეფასებისას ობიექტური საზომები, პარტიული თვალსაზრისი უნდა მოვიმარჯვოთ. იმეორით როდია შემთხვევები, როცა ესა თუ ის კრიტიკოსი საქმის ინტერესებს ძმადიჭურ ინტერესებზე სცვლის. სმენას ამხვილებს. მაგრამ გრძობას აღუნებს, ზარის ხმა ესმის, მა-

გრამ ვერ გრძობას სად რეკავენ, წიროვას სდ აყენებენ!

პრესა პოლემიკასა და შემოქმედებით დისკუსიებს გაუბრძის, სადათ საკითხებზე დუმის არჩევს და მათგან ბევრი რამ გაუგებარი რჩება.

რეცენზიებიდან ვაპქვას სპექტაკლის, რეცისორისა და მსახიობის ნამუშევრის იდეურ-მხატვრული ანალიზი. დადგმისა და მსახიობის თამაშის, მისი ხერხების, სტილის თავისებურების კონკრეტული განხილვა ზოგადმა დი-თორამებმა შეცვალა. ასეთი რეცენზიებიდან ვერ გაიგებთ იმასაც, თუ რით განსხვავდება ერთი მსახიობის თამაში მეორისაგან. რა წარმოადგენს ცალკეულის ინდივიდუალურ თავისებურებას.

დადგმისა და თამაშის ანალიზი სინთეზური უნდა იყოს. არ შეიძლება მათი ფორმა შინა-არსის მოეწყვიტოთ, ისევე, როგორც არ შეიძლება შინაარსობრივი ანალიზისას უგულვე-ბელეყოთ მხატვრული მხარე. იმ კონკრეტული ხერხების გარკვევა, რითაც რეცისორმა ან მსახიობმა კონკრეტულ შედეგს მიაღწია.

თეატრალური კრიტიკა ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივი აზრის განვითარებას; თეატრალური ხელოვნების ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენის გარშემო საზოგადოებრივი აზრის შექმნას. მაგრამ იგი მოვალეა თვითონაც უსმინდეს საზოგადოებრივ აზრს და ამ აზრის მიხედვით ამოწმებდეს თავის სიმართლეს, მის მიხედვით სრულყოფდეს თავის იარაღს.

ძველი სეზონი დამთავრდა და ახალი სეზონისათვის იწყება ფიქრი და ზრუნვა. ყოველი კოლექტივის, ყოველი შემოქმედებითი მუშა-ვის ვალია ღრმად ჩაუფიქრდეს და გაითვალისწინოს განვლილის ნაკლოვანებანი, რათა უფრო თამამად წავიდეს წინ და ახალი გამარ-ჯვებები მოიპოვოს.

მომავალი წელი დიდ პერსპექტივებს გვი-სახავს. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომელიც გენიალური შოთა რუსთაველის იუბილისათვის ემზადება. ამ სახელოვანმა იუბილემ მძლავრი აღმავლობა უნდა გამოიწვიოს მთელ ჩვენ კულტურულ ცხოვრებაში, ჩვენ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, კერძოდ, თეატრში.

იმედია, რომ საქართველოს თეატრები ცდასა და შესაძლებლობას არ დაიშურებენ, რათა შოთას წელს ღირსეულად შეხედნენ.

პ ე ნ შ ე მ ბ ი

სამპარტეზლოს თეატრალური საზოგადოების

XI პ ე ნ შ ე მ ი

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის შემოქმედებით ორგანიზაციებში ტარდება საგანგებო პლენუმები, თათბირები, სხდომები, რომლებიც ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისა და დიდი ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მზადებას. ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების V მოწვევის XI პლენუმი.

მოსენება თემაზე: „ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისა და ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ.

— გაივლის არც თუ ისე დიდი დრო, — დაიწყო მომხსენებელმა, — და მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი სამშობლო ზემოთ აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ჩვენს ქვეყანაში ასეთი თარიღების აღნიშვნა უკვე ტრადიციად დამკვიდრდა და ეს შემთხვევითი როდია. ლენინი და ოქტომბერი წმიდათა წმიდაა ყველა იმათთვის, ვისაც სამშობლოსათვის უძველესი გული, ვინც მზადაა თავისი სიცოცხლე ხალხს. მამულის კეთილდღეობისათვის ბრძოლას მიუძღვნას. ნახევარი საუკუნეა, რაც სვეტქობ შუქურასავით აღმართულია ჩვენი სამშობლო და უნათებს გზას ყველა იმას, ვინც იბრძვის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. არაგორც ტალღა ეხეთქება კლდოვან ნაპირს — იმსხვრება უთვალავ შეხვედრად, ისე ენარ-

ცხება დიდ საბჭოურ სიმართლეს ათასგვარი ცილისწამება. მტრობა, შური, საერთაშორისო იმპერიალიზმის რეაქცია. ამ დიადი ბრძოლისა და ნგრევა-შენების ღვიძლია ახალი საბჭოთა კულტურა, საბჭოთა თეატრი და, რაღა თქმა უნდა, ქართული საბჭოთა თეატრიც. ამ შესანიშნავ თარიღებს ქართული საბჭოთა თეატრი უნდა შეხედვდეს ღირსეულად, შემოქმედებითი აღმავლობით, ამ დღეებისათვის შესაფერისი რეპერტუარით. ეს ნათელია. ნათელია ისიც, რომ ამისათვის დიდი და ნაყოფიერი მუშაობის გაწევაა საჭირო. აუცილებელია მწერლების, თეატრალური მოღვაწეების, კრიტიკოსების, ლიტერატურისა და ხელოვნების თეორეტიკოსების ძალთა მაქსიმალური დაძაბვა და კონსოლიდაცია.

ამ დიდი მოსამზადებელი სამუშაოს შინაარსიდან და მოცულობიდან მომხსენებელმა გამოჰყო მხოლოდ სამი საკითხი. პირველი საკითხი — შემოქმედის პოზიცია, მეორე — ტრადიცია და ნოვატორობა, მესამე — ორგანიზაციული მუშაობა.

გააშუქა რა მომხსენებელმა პირველი საკითხი — შემოქმედის პოზიცია, — სთქვა თავის შესანიშნავ წერილში ლევ ტოლსტოის შესახებ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუ საქმე გვაქვს ნამდვილ მწერალთან, ნამდვილ შემოქმედთან, ის აუცილებლად ასახავს თავის ნაწარმოებებში თავისი ეპოქის ყველაზე მთავარ, ყველაზე მნიშვნელოვან მხარეებს. ეს ძალზე ღრმა და ზუსტი შენიშვნაა. რევოლუციის პერიოდი აისახა ყველა დიდი შემოქმედის შემკვიდრებაში,

აისახა არა ერთფეროვნად და ერთგვაროვნად. მაიაკოვსკის პოზიცია, მაგალითად, განსხვავდებოდა ბლოკის პოზიციისაგან, ხოლო გალაქტინო ტაბიძის პოზიცია სიმბოლისტიკის ადრინდელი პოზიციისაგან. დრომ. ცხოვრების დენამ ნათელყო. თუ ვისი პოზიცია აღმოჩნდა უფრო სწორი, ისტორიზმითა და ქანსალი რეალიზმით აღსაყვ.

ბევრმა დიდმა ნიჭიერმა ქართველმა მხატვარმა სხვადასხვაგვარად გაატარა თავისი შემოქმედების პრიზმაში ეს გარდატეხის წლები და ჩვენი მშობლიური ლიტერატურისა და ხელოვნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი აღმოჩნდნენ ამ დიდი ეპოქის ღრმად გაგებისა და, რაც მთავარია, დამკვიდრების შეგნების მაღალ დონეზე.

ალიარებისა და დამკვიდრების პათოსი გასდევდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთელ გზას და ეს გასაყვბიდა. რადგან ისინი ასახავდნენ რევოლუციის გამარჯვებას, სოციალიზმისა და კომუნისზმის შენებას, საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წელი ახლის შენების, ძიებისა და ნოვატორობის წლები იყო. ბევრი იყო შეცდომა. სიძნელე, აუნახულადღებელი დანაკარგი. თუ კი ჩვენ 50 წლისათვის უბილეს შევხედვებით ნაკლოვანი მხარეების წინწამოწეითა და გაზვიადებით, არა მგონია, სწორად აესახათ ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლა კომუნისზმის აშენებისათვის.

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების, ისევე როგორც მთელი ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უარყოფისა და გაზვიადების პათოსმა ვერ მოიკიდა ფეხი, ისევე, როგორც უდგამამო, უსახლკარო და უსამშობლო აბსტრაქციონიზმმა. ჩვენი კრიტიკისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების დიდი დამსახურება ის არის, რომ მათ მწუხანე გზა არ გაუხსნენს მოლიტერატურო უარყოფილებებს და სათანადო შეფასება მისცეს თითო-ორთა ნაწარმოებს, სადაც იყო პრეტენზიული ცდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ზოგიერთი ეტაპის ხელახლა აღმოჩენისა.

მე არა მინდა დაგასახლო ის ავტორები და ნაწარმოებები. (იყო ასეთი ნაწარმოებებიც, და რამდენიმე პიესაც), სადაც მცდარად და არასწორი პოზიციებიდან იყო გაშუქებული ჩვე-

ნი თანამედროვე ცხოვრება და ჩვენდღეობა წმუნეთ ეს ავტორები, რომ ასეთი პიესები დანებრებას არ მოუტანს საზოგადოებას, ჩვენს ხალხს, რომ ეს არის არასწორი თვლით დანახული ჩვენი სინამდვილე.

არიან ადამიანები, რომელთაც არ მოსწონთ ეს სიტუაცია. მათ უნდათ ჩვენ საკუთარი ხელით დავისნათ, რომ იტყვიან, თავსლაფთ, უარი ვთქვათ იმაზე, რაც მოპოვებულია ოფლითა და სისხლით. დავიწყოთ ისტორია 1953 წლიდან. მაგრამ ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს. მიხეილ შოლოხოვმა თავის მოკლე სიტყვაში რუსეთის მწერლობის ყრილობის გახსნისას რამდენჯერმე საგანგებოდ ხაზი გაუსვა ჩვენი ხალხის მიერ განვილი ნახევარსაუკუნოვან სახელოვან გზას.

რით აიხსნება, რომ ჩვენში ვერ მოიკიდა ფეხი ამ მოდერმა ლიტერატურულმა უარყოფელობამ? ამის მრავალი მიზეზი გვაქვს და ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიც ვანლაეთ, რომ ქართული ლიტერატურა და ხელოვნება მყარ კროვულ. ტრადიციებით ვანოყიერებულ ნიადაგზეა დაფუძნებული.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა მეორე საკითხზე — „ტრადიცია და ნოვატორობა“. და განავრძო: დიდი კოტე მარჯანიშვილი, მიმართავდა რა ვასო აბაშიძეს, ამბობდა: „ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს დიდ მსახიობურ ოსტატობას, ჩვენ უნდა ვისწავლოთ თქვენგან, მხოლოდ ჩვენ არ გვინდა ერთ ადგილას ვტეპნიდეთ, ჩვენ გვინდა წინსვლა ახლისაკენ“.

ამ აზრს ხმას უერთებს განთქმული ვახტანგოვი: «Надо дать понять людям, что вся они хотят творить новое, надо сохранить свое прекрасное старое и продолжать строить новое».

და ბოლოს, ჩვენი სანდრო ახმეტელი „საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრება ვაცილებით უფრო სწრაფი ნაბიჯით წივბდა წინ, ვიდრე ჩვენ. აი, სად გვაქვს ჩვენ ვარდვევა... ჩვენ წინ უნდა ვუსწრებდეთ! ჩვენ კი კულში მივდეთ, ეს მარტო ჩვენი დანაშაული როდია. ხალხის წინ ვალშია საბჭოთა დრამატურგაიც რომელმაც აქამდე ვერ ივრანო დღევანდელი საქართველო, ვერ ივრძინ ივი, როგორც მასალა, რომელიც აუცილებელია დიდი ტილოსათვის“.

როგორც ხედავთ, არც ერთი დიდი ხელოვა-



ნი არ უპირისპირებს ერთმანეთს ტრადიციასა და ნოვატორობას. არც ჩვენ გვებადება აზრი, რომ შეიძლება ეს ორი უპირისპირედ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ინსტიტუტი ერთიმეორეს დაუპირისპიროთ. საერთოდ ტრადიცია და ნოვატორობა, — ფაქტურად თუ განვიხილავთ, — ერთი და იგივე ცნებებია. ტრადიცია რა არის ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში? — მარჯანიშვილის შემოქმედებითი მეთოდი, ახმეტელის შემოქმედებითი მეთოდი. ტრადიციული და ნოვატორული ეს არის ერთი მედლის ორი მხარე. განა თავის დროზე შექსპირი არ იყო ნოვატორი? და ჩვენი დიდი მწერლები სწორედ იმიტომ განდნენ ტრადიციულნი, რომ ისინი იყვნენ ნოვატორები.

თავიდანვე გარკვევით და დაბეჭდვითი უნდა ვთქვათ, ვინც უარყოფს ტრადიციას, ის ან სულელია, ან გადაგვარებული, ან აშკარა მტერი ჩვენი ეროვნული კულტურისა, ანდა სამივე ერთად. აქ ისევე უარყოფელებთან გადავიღვივართ ალავერდს.

ასე რომ საკითხი იმის შესახებ, უნდა დავიცვათ თუ არა ტრადიცია, არ დგას. ეს ქეშპარიტებაა და ამაზე დავა უკვე ლაყბობის სფეროა.

ვეფქრობ უფრო რთულია. — განაგრძობ მომხსენებელმა. — ნოვატორობის პრობლემა, გინაიდან ეს ისეთი ხილია, რომ აქ უფრო ადვილად შეიძლება შევცდეთ, ვიდრე ტრადიციულობის საკითხში. ეს საკითხი კონკრეტულად, თეატრალურ მასალაზე უნდა განვიხილოთ. ერთი კი ცხადია: ძიების, ექსპერიმენტების გარეშე აქ საქმე წინ ვერ წაიწევის. ამ შემთხვევაშიც დიდი პროფესიონალური სიღრმე და სიღინჯეა საჭირო. მეტი ანალიზი, ნაკლები ვაიციცხვა. მეტი დახმარება, ახსნა; ნაკლები ნიჰილიზმი. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სათანადო შეფასება არ მიეცეთ სუსტ და ზერელე სექტაკლებს. მაგრამ თუ კი შევნიშნავთ ახლის, პროგრესულის თუნდაც ერთ მარცვალს, ნუ დაგვარგავთ მას. მე პირადად მიმაჩნია, რომ მეტი დახმარებაა საჭირო პიესების დადგმაში. უამისოდ დადებით შედეგს ვერ მივიღებთ.

ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ეს არ შეიძლება გადავჭრათ ადმინისტრაციული ხერხებით ან ცალკეული ავტორიტეტების გამოთქმებზე დაყრდნობით. შემოქმედებითმა კავშირმა უნდა მოაწყოს ამ პრობლემის ირგვ-

ლივ საქმიანი, პროფესიული სებადასაგებებელი მელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენსა მწერლებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების თეორეტიკოსებმა, კრიტიკოსებმა, სცენის მოღვაწეებმა.

მომხსენებელი გადავიდა რა მესამე საკითხზე („ორგანიზაციული მუშაობა“), სთქვა, — ამ დიადი თარიღების აღსანიშნავად ჩვენმა დრამატურგებმა, მწერალთა და თეატრის მუშაკების შემოქმედებითმა კავშირებმა, კულტურის სამინისტრომ, თეატრებმა ამთავიფვე უნდა გაშალონ დიდი ორგანიზატორული მუშაობა. ჩვენ უნდა შევიმუშავოთ კონკრეტული შემოქმედებითი გეგმები, დაუკვეთოთ ავტორებს პიესები. ვიმუშაოთ მათთან დიდის მოთმინებითა და ნაყოფიერად. ამ საკითხში თვითდინება შემოქმედებითი თავისუფლების ნიღაბქვეშ არამც და არამც არ უნდა დავუშვათ. ჩვენი ყველაზე დიდი მწერლები არ თაკილობდნენ ე. წ. „სოციალურ დაკვეთას“. რადგან იგი დროის მოთხოვნებით იყო ნაკარანხები.

ნება მომეცით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ვუსურვოთ ჩვენი თეატრალური ხელოვნების მაღალნიჭიერი რაზმის საუკეთესო წარმომადგენლებს ახალი დიდი შემოქმედებითი გამარჯვებები და ბედნიერება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასე დაამთავრა თავისი საინტერესო მოხსენება ამხ. დ. სტურუამ.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. მონაწილეობა მიიღეს რეჟისორებმა, აქტიორებმა, კრიტიკოსებმა. საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერებმა თუ მასურებლებმა, რომლებმაც ილაპარაკეს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადების საკითხებზე და ბევრი საინტერესო წინადადება წამოაყენეს. საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე ფართო შემოქმედებითი ამოცანები ისახება. ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი და დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი არ არის ჩვეულებრივი საიუბილეო თარიღები. ამ თარიღებს ყოველმხრივ მომხატვრულ უნდა შევცდეთ და ღირსეულად ჩავტატოროთ. ამ თარიღებისათვის სამუშაოსში უნდა ავამაღლოთ ქართული ხელოვნების დონე, წინ უნდა წავწიოთ ჩვენი მხატვრული კულტურა.

ორი წლის შემდეგ — ამბობს ბ. ელენტი, —



ქართული ენციკლოპედია

ქართული ხელოვნების მუშაკებს მოუხდებოდათ გარკვეული ანგარიში ჩააბარონ ჩვენს საზოგადოებას. 50 წელი უსრულდება საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ უნდა შევაჯამოთ განვლილი წლების მანძილზე მოპოვებული მიღწევები. უნდა შევქნათ ახალი ნაწარმოებები, ახალი სპექტაკლები, რომლებშიც აისახება ჩვენი ხალხის გმირული და შემოქმედებითი ცხოვრება, კომუნისმის მშენებელი ადამიანის სულსკვეთება.

მთელი ჩვენი ამოცანა ის არის, — ამბობს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალისვილი, — რომ ქართული ხელოვნება და, კერძოდ, თეატრალური ხელოვნება ამ საიუბილეო თარიღებს ღირსეულად შეხვდეს. ორი წლით ადრე შევიკრიბეთ იმითომ, რომ ჩვენი თეატრები სათანადოდ

მოემზადონ. მკიდრო შემოქმედებითი კავშირი დაამყარონ დრამატურებისა და ახალი ღირსეული ნაწარმოებები შექმნან.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე: აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ არჩილ ჩიმაკაძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ. თეატრმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა დ. ჯანელიძემ, სსრკ სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიგა ლორთქიფანიძემ. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დიმიტრი მჭედლიძემ და სხვ.

პლენუმი შეაჯამა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.



1965 წლის 28 ივნისს ხატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეთორმეტე პლენუმი. მიძღვნილი რესპუბლიკის თეატრების 1964—65 წ.წ. სეზონის შედეგებისადმი.

საღმომავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

ჩვენი პლენუმის მუშაობა საქმიან ვითარებაში უნდა ჩავატაროთ, — ამბობს იგი, — დაწერილებითა და გულმოდგინედ უნდა განვიხილოთ თეატრების განვლილი საქმიანობა. ობიექტურად შევაფასოთ სეზონის შედეგები. აღვნიშნოთ მიღწევები. მოურიდებლად ვამხილოთ ნაკლოვანებები და მომავალი სეზონის ამოცანები დავსახოთ.

მომავალი სეზონი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თეატრებს: ეს სეზონი ემთხვევა გენიალური ქართველი მწერლის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს. ამ თარიღს ჩვენი თეატრებიც დირსეულად უნდა შეხედნენ.

შემდეგ თავმჯდომარე მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლეგიის მთავარ რედაქტორს ანხ. ა. წულუკიძეს.

ქართული თეატრი ყოველთვის უმნიშვნელოვანეს ადგილს იჭერდა ჩვენი ერის ცხოვრებაში — აღნიშნავს ა. წულუკიძე — ხალხის ინტერესებისა და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის გამო გარემოსილი და განეხივრებული იყო ხალხის სიყვარულით.

საბჭოთა საქართველოს გარეგარეზე ქართული საბჭოთა თეატრი შეიქრა ქართველი ხალხის ცხოვრებაში და ერის ინტერესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტრიბუნად იქცა. ყველასათვის ცნობილია ის უზარმაზარი როლი, რომელიც შეასრულეს დიდმა კოტე მარჯანიშვილმა და მისმა უნიჭიერესმა მოწაფემ სანდრო აბშეტელმა. ქართული საბჭოთა თეატრის აღმავლობის საქმეში, რუსთაველი-

სა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებმა თავის დროზე თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატებები მოიპოვეს.


შემდეგ ორივე თეატრმა რთული, წინააღმდეგობით სავსე გზა უმარჯანიშვილად და უახემტელად გაიარა. მიუხედავად ამისა, მათ დიდ აღმავლობას მიაღწიეს.

დიდი ხნის განმავლობაში ეროვნული დრამატურგიის გზის ვაკაფეაში. ქართული თეატრალური ესთეტიკის დამკვიდრების საკითხში რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები ასრულებდნენ ვადამწყვეტ როლს. ისინი განსაზღვრავდნენ ქართული თეატრების სარეპერტუარო პოლიტიკასა და სტილს.

რასაკვირველია, პერიფერიებში, რაიონებში არსებობდნენ თეატრები, მათ მიღწევებიც ჰქონდათ. მაგრამ არსებითად განსხვავდებოდნენ თბილისის თეატრებისაგან. დღეს ეს დიდი განსხვავება აღარ არის. საგრძნობლად შემცირდა. პერიფერიებში ასეა ჩვენ საქმე გვაქვს არა პროვინციულ მოვლენებთან, არამედ ნამდვილ ხელოვნებასთან. ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და სხვა თეატრების მიერ რიგ სპექტაკლებში აშკარად ჩანს, რომ იზრდება მათი პროფესიონალურობის დონე.

ამ ბოლო დროს ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის თეატრები იჩენენ ინიციატივას, რომ გზა გაუყავონ ეროვნულ დრამატურგიის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი თბილისის თეატრების მიერ. მაგ. პ. კაკაბაძის პიესით (ცხოვრების ჯარა), რომელიც განხორციელდა ქუთაისის თეატრმა. ავაკი ვასაძის თავდადებული შრომით ჩვენ მივიღეთ საინტერესო სპექტაკლი.

ამას წინათ შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი „ჩემი შვილი სიმონის“ მე-100 წარმოდგენას ბათუმში. ბათუმში არც ისე მრავალრიცხოვანი მაყურებლის დამტკევი ქალაქია და თანამედროვე პიესა რომ მე-100 წარმოდგენას აღნიშნავს, ეს მოწმობს, რომ ეს სპექტაკლი ხალხის მიერ კარგად იყო მიღებული. რა



არის საინტერესო ამ სექტაკლში? საინტერესო იყო მისი მძაფრი, მომხიბვლელი პათოსი. შეიძლება დრამატურგიულად პიესას ბევრი რამ ავლია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საინტერესოა ხასიათებით, მოსწრებული თქმებითა და ცხოვრებისეული სურათებით.

ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის თეატრების გარდა სხვა თეატრებიც საგრძნობლად მომძლავრდნენ და, ზოგიერთ შემთხვევაში, მხარში ამოუდგნენ თბილისის თეატრებს. ამ სამი თეატრის პრაქტიკა მოწმობს იმას, რომ ეს თეატრები აღარ იმეორებენ. ასლს აღარ იღებენ მოწინავე თეატრებისგან. მათ აქვთ საკუთარი ხელწერა და გააჩნიათ სარეპერტუარო პოლიტიკა.

ქუთაისის თეატრი დიდად გაიზარდა, დიდად მისი აკადემიური დონე, არ შეიძლება მსურველ მხარდაჭერა არ გამოიწვიოს იმან, რომ სცენიდან გაისმის დახვეწილი ქართული ენა. თითოეული ჩვენგანი ხედავს თეატრის გემოვნების ზრდას, მუსიკის, მხატვრობის მაღალ დონეს. დახვეწილ რეჟისორულ ხელოვნებას. ამ მხრივ დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ სექტაკლი „სისხლიანი ქორწილი“ და „რიჩარდ მესიმე“. მაგრამ, ცხადია, ყველა სექტაკლი ერთნაირ დონეზე არა დგას.

მე პირადად უკმარისობის გრძნობა განვიცადე, როცა ოთარ მამფორიას პიესა „ტაბუ“ ვნახე. აქ კარგი პოეტური იდეების ჩანასახია, მაგრამ არ არის ბოლომდე მიყვანილი. მხატვრული თვალსაზრისით სუსტია ოტია იოსელიანის პიესა „როცა სიყვარული მოვა“, მაგრამ მისი დადგმით თეატრმა ცუდი საქმე არ გააკეთა. აქ ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც უნდა იყვნენ გზის გამაყვავნი ახალი დიდი მოვლენებისა.

რაც შეეხება ბათუმის თეატრს, ეს თეატრი ერთ-ერთი საინტერესო თეატრია. მას აქვს თავისი ტრადიციები. ამ თეატრის აღრე წარმტებებზეც კჭონდა და ჩავარდნებიც. ახლა ემ თეატრი მყარია, თეატრში არის მსახიობების კარგი კოლექტივი, რომელიც ურთიერთ შეთანხმებით მუშაობს. მე ვნახე რამდენიმე სექტაკლი. გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა ბათუმის თეატრის დადგმა „მინდიამ“. ახლებურად არის დანახული და ვეაყენით ამტყველებული.

კარგად განახორციელა ამერიკული პიესის „ფეხბურთის“ დადგმა რეჟისორმა თ. აბაშიძემ. სექტაკლი დადგმულია ძალიან სხარტად, ის საშიშროება, რომელიც მოსალოდნე-

ლი უნდა ყოფილიყო, არ აღმოჩნდა. ასევე, არ არის გადატვირთული სტილიაზურ და დაქმნა-გრეხული ამბებით და ვიხილეთ ხამდვილი რეალისტური სექტაკლი.

სოხუმის თეატრი ერთ-ერთი ნიჭიერი კოლექტივია საქართველოს თეატრებს შორის და ამ თეატრში გვიჩანავს არა ერთი კარგი სექტაკლი. გასულ წელს ჩვენ ვნახეთ „მოგზაურობა სამ დროში“. (რეჟისორი მირცხულავა). წელს ვნახეთ ახალგაზრდა რეჟისორ ს. მრეველიშვილის სექტაკლი „შვეიცია“. სექტაკლი რეჟისორულად კარგად არის გადაწყვეტილი და აქტიორული შესრულებითაც მაღალ დონეზე დგას.

არის თეატრები, რომლებიც სასარგებლო შრომას ეწევიან და არა აქვთ ნორმალური მუშაობის სათანადო პირობები. ეს თეატრებია: გორის, მახარაძის, ჭიათურის, ფოთის, თელავის, ზუგდიდის, ცხინვალის ოსური და ქართული თეატრები.

აგრეთვე დიდ ყურადღებას და დახმარებას მოითხოვს აფხაზეთის ერთადერთი თეატრი. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის თეატრი. მიუხედავად ზიგზაგებისა, ყოველთვის იყო და არის ღრმად ადამიანური თეატრი. მართალია აქვს ზიგზაგები, მაგრამ იქაც ვერ ვიპოვიით შეთხზულ ამბებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე თეატრმა საინტერესო სექტაკლები გვიჩვენა. პირველ რიგში დავასახელებთ ორ უკანასკნელ დადგმას — „მე ვხედავ მზეს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ყველაზე ნაყოფიერი მარჯანიშვილის თეატრში წლები წელი გამოდგა. თეატრმა ცხრა პრემიერა განახორციელა. „დედა“ — ეს არის სრულყოფილი სექტაკლი. „უანა და რკს“ აკლია სიღრმე. დადგმა მაინც შეიძლება დადებითად შევაფასოთ.

ჩხვიძის „ვისია ვისი“-ში იგრძნობა მომქმედი ადამიანების დიდი გულის სითბო, მთავარ პერსონაჟიდან დაწყებული. უბრალო მომქმედი პირებით გათავებულო.

მარჯანიშვილის თეატრმა მასურებელს უჩვენა ყველაზე მნიშვნელოვანი სექტაკლი პ. კაკაბაძისა „კახაბერის ხმალი“. გ. ლორთქიფანიძემ ძალზე მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. მან საღად შეხედა ამ პიესას და გონივრული ანალიზით შექმნა ძალზე ნიჭიერი სექტაკლი.

რუსთაველის სახელობის თეატრი ღრმა



ეროვნულ და რომანტიკულ ტრადიციებთან ერთად ყოველთვის ქმნიდა წმინდა თანამედროვე სპექტაკლებს. იძიებდა თავის ფორმებს. თეატრმა ბოლო წლებში მოგვცა შესანიშნავი მაღალხარისხის სპექტაკლები: ალექსიძის მიერ დადგმული „ოიდიპოს მეფე“, „ბახტრიონი“, თუმანიშვილის „როცა ასეთი სიყვარულია“ და „ესპანელი მღვდელი“.

მაგრამ უქანასკნელ თეატრმა დადგა მთელი რიგი სპექტაკლებისა. რომლებიც კოლექტივის შემოქმედებით აქტივში არ ჩაეთვლება: „ღვთებრივი კომედია“, „სამგროშიანი ოპერა“ და სხვები.

ჩვენი ვიზილეთ კუჭუხიძის კარგი რეჟისორული ნამუშევარი „ანა ფრანკის დღიური“. რომელიც დაიდგა გრიბოდოვის სახ. თეატრში. წარმატებით გამოდიან ახალგაზრდა რეჟისორები. მშვენიერი ნამუშევარი გვიჩვენა ახალგაზრდა რეჟისორმა ს. მრეველიშვილმა. აგრეთვე კარგი სპექტაკლები აქვს შექმნილი მესხს; იგი ამჟღავნებს მკაფიო რეჟისორულ ხელწერას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქართული რეჟისორი არ არის ჩამბული მუშაობაში. და განსაკუთრებით კი ისეთი ძლიერი რეჟისორები, როგორიცაა ალექსიძე, ჩხარტიშვილი და სხვები, რაც მეტად სამწუხაროა.

ჩვენი ქართული თეატრი დგას დიდი ამოცანების წინაშე — განავარძობს მომხსენებელი — მან უნდა უპასუხოს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს და ავტორიტეტული სიტყვა თქვას დღევანდელ ვითარებაში.

სიტყვაში გამოსული ნ. შვანგირაძე შეეხო გრიბოდოვის სახელობის თეატრის მუშაობას და დასძინა: — აღნიშნული თეატრი შემოქმედებითი პროფლით და რეპერტუარით წველს უკეთესად გამოიყურება. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დღემდე ამ თეატრს არ ჰყავს მთავარი რეჟისორი. შემდეგ ეხება ინსცენირების საკითხს და ამბობს: — არ გამოვით თითქოს ინსცენირებას უგულვებელვყოფდეთ. მაგრამ ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც ჩვენს თეატრებშია, გარკვეულ საშინაობებს უქმნის თეატრებსაც და დრამატურგებსაც, მაგალითად, „წყალიდობა“, „სამაში არაველი“, „თამაში ჭკავის ყანაში“, „სათაჟური“, „კონა“ და სხვ. ეს უკვე ბევრია და გვეშინია ხელი არ შეუშალოს ჩვენი დრამატურგიის განვითარებას.

იგი ეხება სომხურ და მოზარდ მსაყურე-

ბელთა თეატრებს და აღნიშნავს, რომ თეატრები გააუმჯობესეს

ქართული თეატრის მდგომარეობა, მისი წარმატებები და სიძნელებები, მისი განვითარების პროცესები და პერსპექტივები იმდენად დიდი საზოგადოებრივი საკითხია, რომ მასზე, თავისთავად, მთელი ჩვენი ხალხი ფიქრობს და ზრუნავს — განაცხადა ბ. ქლენტმა.

ჩვენ არ შეგვიძლია არ გავწუხებდეს ქართული თეატრის ბედი.

თეატრებს ძალიან გაუძნელდათ სახელმწიფო დამხარების — დოქტორის გარეშე არსებობა. რა თქმა უნდა, ჩვენი პლენუმი არ არის ამ საკითხში კომპეტენტური, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები მიაქცივენ ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას.


განტრებს სეზონში ჩვენი თეატრის სარეპერტუარო ცხოვრებაში სინტერესო მოვლენებს აქვს ადგილი. დაიდგა ჩვენი უნიჭიერესი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძის ორი პიესა: „კახაბერის ხმალი“ და „ცხოვრების ჯარა“. ჩვენ ამ ორი უქანასკნელი პიესით გავიმარჯვეთ, მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება, იმიტომ, რომ „კახაბერის ხმალი“ და „ცხოვრების ჯარა“ მაინც ერთი მხარეა თეატრალური ცხოვრებისა, ეს სატირული კომედიის ქანარია, რომელიც უარყოფითი გზით ახორციელებს დასასულ იდეალებს. მაგრამ ჩვენ გვჭირდება მეორე მხარე, ჩვენი ხალხის დადებითი მხარეებისა, დადებითი პროცესების გამოხატვისა. კიდევ ვიმეორებ, არა მარტო უარყოფითი გზით ვსაბუთოთ დადებითი, არამედ შეექმნათ მხატვრული სახეები, რომლებიც მისაბამად მოთადგება ჩვენს ხალხს.

აქტიორული ხელოვნების საკითხი მწვავედ დგას ქართულ თეატრში. განვილი სეზონშიც ბევრი როლი შექმნილა წარმატაცი სახეები, რომლებიც გაამდიდრებდნენ ცალკეული მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიას.

შარშან შ. რუსთაველს სახელობის თეატრში მცდარმა ტენდენციებმა იჩინა თავი. პირველ რიგში ეს გამოიხატა თაობათა დაპირისპირებასა და ტრადიციების გადაფასებაში.

ეს ნაბიჯი თეატრის მიერ არ იყო სწორად გადადგმული.

მე არ ვიცი ვინ აგებს პასუხს თეატრის დღევანდელ მდგომარეობაზე, მის მხატვრულ



ხაზზე. საჭიროა ამ ვარემოებას მეტი ყურადღება მიექცეს.

მომხსენებელმა მართებულად აღნიშნა, რომ ჩვენს თეატრებში გაბედულად დაწინაურდნენ ახალგაზრდა რეჟისორები. ეს სწორია — ამბობს ი. თავაძე — კერძოდ მან დაასახელა ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, მახარაძისა და სხვა თეატრები. ეს იმით აიხსნება, რომ ეს რაიონები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან ახალგაზრდა კადრებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სოხუმის საქალაქო ხელმძღვანელობის დამოკიდებულება თეატრისადმი, ისეთი ახალგაზრდა რეჟისორისადმი, როგორც არის ნელი ეშბა. მან როგორც სოხუმში, ისე გრიბოედოვის სახელობის თეატრში მუშაობისას დაამტკიცა, რომ იგი შემთხვევით არ არის ხელოვნებაში შემოსული. მას, როგორც ნიჭიერსა და გონიერ რეჟისორს, სჭირდება მეტი ყურადღება და სათანადო პირობების შექმნა.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებით მუშაობაზე, მოითხოვს, რომ უფრო მეტი გაბედულება გამოვიჩინოთ მათ დაწინაურებაში.

კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი შეგახო რუსთაველის თეატრის რეპერტუარს და ვაკრიტიკა „სამგროშიანი ოპერა“. „ლეთაგბრივი კომედია“ და სთქვა, რომ ასეთი სპექ-

ტაკლები არ უნდა დადგმულიყო რუსთაველის თეატრში.

მე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა უმზე“. ავტორი ნიჭიერი მწერალია, მაგრამ მან ვერ შექმნა სრულყოფილი ნაწარმოები და სპექტაკლიც მოსაწყენი გამოვიდა. რუსთაველის თეატრი მდგომარეობის გამოსწორებას ყოველთვის გვპირდება, ხოლო დაპირება დაპირებად რჩება.

რუსთაველის თეატრი თავის რეპერტუარით არ სდგას მოწოდების სიმაღლეზე. მარჯანიშვილის სახ. თეატრი რეპერტუარისათვის უფრო ეფექტურად ეძებს და პოულობს სათანადო პიესებს.

მალე შოთა რუსთაველის იუბილე იქნება. პიესა შეკვეთილი აქვს გრიგოლ აბაშიძეს. რომელი თეატრიც უკეთესად გამოიჩენს თავს. ჩვენ იმ თეატრს მივცემთ აღნიშნულ პიესას.

პლენუმს მიესალმა უკრაინის სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ე. ხარჩენკო.

სიტყვებით გამოვიდნენ ავრეთვე ამხანაგები: ა. ვასაძე, გ. ლორთქიფანიძე, ა. ქუთათელაძე, ა. აბშილავა, ა. ჩხარტიშვილი, ს. ზაქარიაძე, ე. ახვლედიანი.

დასასრულს თავმჯდომარემ დ. ანთაძემ მოკლედ შეაჯამა პლენუმის მუშაობა.

ღ ი ს ვ უ ტ ე ბ ი

ოღნის მუსიკალურ-დრამატული თეატრის

ბასტროლები თბილისში

მიმდინარე წლის 16-დან 29 მაისამდე თბილისის საგასტროლოდ ეწვია უკრაინის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ოდესის მუსიკალურ-დრამატული კოლექტივი, რომლის საგასტროლო სპექტაკლები ტარდებოდა გრიბოედოვის, რუსთაველისა და ოპერის სახელმწიფო თეატრებში, ხოლო 29 ივნისს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ მოაწიეს ამ თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ. მან აღნიშნა: — უკანასკნელ წლებში ტრადიციად იქცა საგასტროლოდ ჩამოსულ თეატრების კოლექტივთან შეხვედრა და მეგობრული. მოურიდებელი შეხედულებების გაზიარება. რა თქმა უნდა. ეს ხდება გულწრფელ-მეგობრულ ატმოსფეროში. ამ მსჯელობას ის მიზანი აქვს, რომ დაეხმაროს თეატრს, რათა უკეთესად წარმოართოს თავისი შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობა.

დღეს, — დასძინა დ. მჭედლიძემ, — ჩვენ ვხვდებით უკრაინის მუსიკალურ-დრამატული თეატრის კოლექტივს, რომელმაც ეს-ეს არის დაამთავრა თავისი გასტროლები.

უკრაინის თეატრებს შორის ერთერთი საპატიო ადგილი ოდესის მუსიკალურ-დრამატული თეატრსაც უკავია. იგი მთლიანად ამართლებს თავის სპეციფიურ დანიშნულებას და ერთ-ერთ მოწინავე კოლექტივად ითვლება.

საერთოდ, როგორც ცნობილია, მუსიკალუ-

რი თეატრი რომ მაყურებლისათვის ნამდვილსანახაობად იქცეს, სხვა კომპონენტებთან ერთად, საჭიროა მას მომხიბველი მუსიკა გააჩნდეს. ოდესის მუსიკალურ-დრამატულ თეატრში ეს გარემოება შესანიშნავად არის გაგებული. ეს ბუნებრივიც არის. რადგან მუსიკით ხომ ზოგჯერ უფრო მეტად შეიძლება გრძნობების გადმოცემა, ვიდრე სიტყვით.

შემდეგ მჭედლიძე სიტყვას აძლევს რეჟისორ რ. შაფთოშვილს. ილაპარაკა რა თეატრის შემოქმედებით მუშაობაზე, ორატორი შეჩერდა სპექტაკლზე „ორი კურდღლის მღევარი“. ეს სპექტაკლი, — დასძინა შაფთოშვილი, — დადგმულია ცნობილი რეჟისორის ა. რუბინის მიერ. გვახარებს, რომ ერთხელ კიდევ ვიხილეთ ამ ნიჭიერი ხელოვანის ბრწყინვალე რეჟისორული ნამუშევარი. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ვაღორმების მხრივ დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, მხატვრული სახეები ჩინებულად არის ჩამოყალიბებული.

შეჩერდა რა მსახიობთა თამაშზე, შაფთოშვილმა აღნიშნა მსახიობ კოშტეტკის სერიოზული მუშაობა გოლოზვოტოვის სახის შექმნაზე. ამ როლს, — აცხადებს იგი, — დიდი ტრადიცია აქვს, მას ჯერ კიდევ ადრე საინტერესოდ ასრულებდნენ სავსაგანსკი და სხვები. კოშტეტკისათვის დამახასიათებელია ზომიერების გრძნობა. ამიტომაც არის მისი სახე დამაჯერებელი და სრულყოფილი. ასევე საინტერესოდ აქვს გახსნილი დამახსურებულ არტისტს ტუსს პრონისა როლი. ამ სახეში მოცემულია ადამიანის დიდი ტრაგედია, რომელსაც მსახიობი დამაჯერებლად ანსახიერებს.

სპექტაკლში გვიხილავს აგრეთვე პროფესიულად კარგი ანსამბლი. საერთოდ კი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ნამუშევრებმა მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელ მაყურებლებზე.

— სრულიად ბუნებრივია, — ამბობს სიტყვაში გამოსული დრამატურგი ო. ჩიჯავაძე, — რომ უკრაინის კლასიკოსებს განსაკუთრებული ყურადღება აქვთ დათმობილი ოდესის მუსიკალურ-დრამატული თეატრის რეპერტუარში. რაც შეეხება შემსრულებლებს, პირველ რიგში მინდა მეც აღვნიშნო მსახიობ ვალენტინა ტუსის შესანიშნავი თამაში პრონინას როლში. ასევე კარგად ასრულებდნენ როლებს მსახიობი ე. კისელიოვა (პრონინას დედა), ანა ბუტოვსკაია (ბაზარში მოვუბრე ქალი), ეკ. ლოხოვაია (ხიმა) და სხვები. კარგია კომპოზიტორ ზირბელბლაიტის მუსიკა, ასევე არ ითქმის სპექტაკლის გაფორმების შესახებ.

მე გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ დამაკმაყოფილა სპექტაკლის მხატვრულმა გაფორმებამ. რასაკვირვებია, ეს ჩემი პირადი შეხედულებაა. მე ვფიქრობ, რომ ყოველი მხატვარი-დეკორატორი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მარტივი და, იმავე დროს, სწორად გააზრებული და მალდამხატვრული იყოს ყოველი სპექტაკლის დეკორაციები. თუ ამ საზომით მივუდგებით თქვენი თეატრის სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებას, მე მგონი, რომ აქ ყველაფერი წესრიგში არა გაქვთ. ნუ მიწყენით და, მხატვარ მატოვისის დეკორაციები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორსაც ჩვენი სპექტაკლები ტოვებდა 40—50 წლის წინათ. ეს კი არ ევატეხება ისეთ ნიჭიერ კოლექტივს, როგორიც თქვენი კოლექტივია. ვიმედოვნებ, თეატრი გაითვალისწინებს მომავლისათვის ჩვენს ამ მეგობრულ შენიშვნებს.

სიტყვით გამოსულმა რეჟისორმა მიხ. გიქიშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია ოდესის მუსიკალური თეატრის ჩამოსვლა თბილისში. ჩვენს ორივე რესპუბლიკას დიდი ხნის მეგობრობის ტრადიციები აქვს და მრავალჯერ უჩვენებიათ ერთიმეორისათვის ორივე ქვეყნის ხელოვნების ოსტატებს თავიანთი ბრწყინვალე შემოქმედება. ამიტომ თქვენს ჩამოსვლას სიხარულით შეხვდა ჩვენი დელაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობა.

მე პირადად ვნახე თქვენი შესანიშნავი კო-

ლექტივის ორი სპექტაკლი: „ორი კურდღლის მღვეარი“ და „სიყვარული თავისთავად მდიდარი“. ორივე სპექტაკლი მომეწონა. მსახიობი, ცხოველყოფილი კომედიები შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ორივე სპექტაკლის რეჟისურა მაღალ დონეზეა. არ შეიძლება არ აღინიშნოს თეატრის კოლექტივის თანაბარი ანსამბლური თამაში. ამ მხრივ მე არაფერი მეტყვის. რაც შეეხება სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებას, მეც ვიზიარებ ჩემს წინ გამოსული ორატორების აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა ამ მხარეს მეტი ყურადღება მიექცეს.

რეჟისორმა მერი ოლშანიცკიამ ილაპარაკა თეატრის შემოქმედებით მუშაობაზე, მის რეპერტუარზე, და სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე. შეჩერდა სპექტაკლებზე „ბომა ქალი ახა“. არ შეიძლება თეატრს გვედღი აეხვია ამ პიესისათვის და კარგია, რომ მას თქვენს რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავია — ამბობს ორატორი. — ეს ხომ კლასიკური პიესაა. რომელსაც დიდი გულმოდგინებით თამაშობდა დიდი უკრაინელი მსახიობი ქალი ზანკოვეცკაია. სპექტაკლი გულთბილად მიიღო თბილისელმა მაყურებელმა, იგი გვაღელვებდა, რადგან მასში დიდი ადამიანური გრძობებია ჩაქსოვილი. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია მსახიობი ლუცენკოს შესანიშნავი შესრულება. ასევე შესანიშნავი იყო ე. ტუსი ახას როლში. მაგრამ მეც მინდა გულისტკივლით აღვნიშნო სპექტაკლ „ბომა ქალი ახა“ მეტად სუსტი გაფორმება. მეც ვიზიარებ ჩემს წინ გამოსული ორატორების აზრს იმის შესახებ, რომ საერთოდ ვადახედვა და დაფიქრება ჭირდება ამ თეატრის მხატვრული გაფორმების დარგს.

— ოდესის მუსიკალურ-დრამატული თეატრის კოლექტივის ჩამოსვლა საჭიროებელია უთუოდ მისასალმებელია, — დასძინა სიტყვაში გამოსულმა ხელ. დამს. მოღვაწემ დავით ჩხეიძემ. ჩვენი დელაქალაქის ყოველი თეატრის კარი ღია იყო ჩვენი ძვირფასი სტუმრებისათვის. მათ თავიანთი სპექტაკლები უჩვენეს სპერის, რუსთაველისა და გრიბოედოვის თეატრების სცენაზე. ჩვენი მაყურებელი გულწრფელად უკრავდა ტაშს ოდესის თეატრის ნიჭიერ მსახიობებს.


დასასრულ სიტყვით გამოვიდა ოდესის მუსიკალურ-დრამატული თეატრის სამხატვრო



ქართული

ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი ნ. ი. ორლოვი, რომელმაც მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას და ყველა იმათ, ვინც ხელი შეუწყო თეატრის გას-

ტროლების წარმატებით ჩატარებას. მადლობა უთხრა განხილვაზე სიტყვებით გამოთხრობებსა და მაცურებლებს, გულწრფელი, საქმიანი და პირუთენელი შენიშვნებისათვის.



გრიგოლავის სახ. თეატრის სპექტაკლების

გ ა ნ ხ ი ლ ვ ა

მიმდინარე წლის 10 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო გრიგოლავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების განხილვა: „ასოთხი ფურცელი სიყვარულის შესახებ“, „ანა ფრანკის დღიური“, „მილიონერი ქალი“, „ჩემი უფროსი და“, „პირველი ნაბიჯი“, „მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა“ და „მოწინააღმდეგესთან გადასული“-ს განხილვა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ევაქემი.

— როგორც ცნობილია. — განაცხადა ამხ. ევაქემი. — საქართველოს თეატრალური საზოგადოება სისტემატურად იხილავს, როგორც ჩვენი რესპუბლიკის პერიფერიული თეატრების, ისე ჩვენი დედაქალაქის თეატრების სპექტაკლებს. დღეს ჩვენი ვიზილავთ გრიგოლავის სახელობის თეატრის მიმდინარე სეზონის სპექტაკლებს. ექვი არ არის, რომ შეხვედრები და ურთიერთ შორის პირუთვნელად აზრების გაზიარება, ხელს უწყობს თეატრების შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი აზრის, მათურების დარაზმვას.

გრიგოლავის სახ. თეატრის სპექტაკლები, ცხადია, წინასწარ ნახეს ჩვენმა გამოცდილმა თეატრმცოდნეებმა, კრიტიკოსებმა და თეატრის მოღვაწეებმა. ჩვენ ველით მათ ობიექტურ და პირუთვნელ აზრს, ამა თუ იმ სპექტაკლის ვარშემო.

პირველ სიტყვას დებულბს თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე.

ილაპარაკა რა გრიგოლავის სახ. თეატრის ოთხი სპექტაკლის შესახებ, ნ. ურუშაძემ დას-

ძინა: მთელი რიგი სპექტაკლების ავტორები არიან ახალგაზრდა რეჟისორები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ყველა სპექტაკლი დადგმულია ერთი და იგივე რეჟისორის მიერ. არ იგრძნობა სპექტაკლებში რეჟისორის ინდივიდუალობა. მისი საკუთარი ხედვა, სამწუხაროდ, ამას ადგილი აქვს არა მარტო გრიგოლავის სახ. თეატრის სპექტაკლებში, ეს შეიძინევა ჩვენი რესპუბლიკის სხვა თეატრებშიც. როგორც თბილისში, ისე რაიონულ თეატრებში, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მომავალში.

ნ. ურუშაძის აზრით სპექტაკლებში „მილიონერი ქალი“ და „ასოთხი ფურცელი სიყვარულის შესახებ“ არ იგრძნობა ინდივიდუალური მიდგომა, როგორც თეატრალური საზოგადოების გახსნის, ისე აქტივობა მუშაობაში. მაშინ, როდესაც რეჟისორ ნელი ეშბას ადრინდელ სპექტაკლებში უფრო ეტყობოდა თავისი ინდივიდუალური მიდგომა და ჩანაფიქრის განხორციელება. მაგალითად სპექტაკლ „მილიონერი ქალის“ პირველი მოქმედების ფინალში ჩხუბი სულაც არ არის გამართლებული. ასევე ითქმის სპექტაკლ „ასოთხი ფურცელი სიყვარულის შესახებ“. მაგალითად, ნატაშასა და ელექტრონის პირველი შეხვედრის დროს თითქოს არაფერი არ მომხდარა. შეხვედრენ უბრალოდ, სულ არ არის ნაჩვენები რა დაბრკოლებები ევლებათ წინ ან როგორ ძლევენ ისინი ჩვენს თვალწინ. ცხოვრების პროცესში ამ დაბრკოლებებს. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია იმით. რომ მოქმედ პირთა ცხოვრების განვითარება ლოგიკურად არ არის გახსნილი. საჭიროა მეტი მუშაობა, რეჟისორების მეტი ინდივიდუალური შესაძლებლობის გამოჩენა, რათა უკეთ გამოაჩინონ თავიანთი შემოქმედებითი სახე.

F. 2935





სიტყვაში გამოსულმა რეჟისორმა მიხ. გიეიმერელმა უმთავრესად ილაპარაკა სპექტაკლებზე: „ანა ფრანკის დილორი“ და „მოწინააღმდეგესთან გადასული“. მან კარგი შეფასება მისცა ორივე დადგმას, განსაკუთრებით აღნიშნა სპექტაკლი „მოწინააღმდეგესთან გადასული“-ს აქტუალობა, რომელიც წარმოდგენილი იქნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის დღეებში დიდი თარიღის აღსანიშნავად.

სასიხარულოა, — დასძინა მ. გიეიმერელმა, — რომ სპექტაკლის დადგმა განახორციელა ნიჭიერმა მსახიობმა. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. პაიხეციმ. რომლის პირველივე რეჟისორული ნამუშევარი უთუ-ღე ქებას იმსახურებს.

მიხ. გიეიმერელმა მალაღი შეფასება მისცა აგრეთვე სპექტაკლში მთავარი როლების შემსრულებლებს: რესპ. სახ. არტისტს დ. სლავინს, რესპ. დამს. არტისტებს ივორ ზლობინსა და ი. შევჩუკს.

ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატმა ე. გუგუშვილმა თქვა. — მე არა ერთხელ გამოიკრიტიკებია ეს თეატრი იმის გამო, რომ ხშირად ესა თუ ის პიესა ყოველგვარი წინასწარ შესწავლისა და სათანადო მოფიქრების გარეშე შექმნიდათ რეპერტუარში. ამიტომ ხშირად ზოგიერთი პიესის დადგმა არც რეჟისორს აღუევდა რაშეს. და არც * მსახიობებს. ჩვენდა საბედნიეროდ, მიმდინარე სეზონის რეპერტუარი უკეთ გამოიყურება. რეპერტუარში იგრძნობა მრავალფეროვნება. მასში, გარდა „მილიონერი ქალისა“, საკმაო ადგილი უკავია განსაღ. და მალაღმხატრულ დრამატულ ნაწარმოებებს. თუმცა ჩემს წინ გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, თითქოს „ჩემი უფროსი და“ და „ასთიხი ფურცელი სიყვარულის შესახებ“ სუსტი ნაწარმოებები იყოს. მაგრამ მე იმ აზრის ვარ, რომ ამ პიესებს უფლება აქვთ თეატრის რეპერტუარში იყვნენ, რადგან ისინი ასახევენ თანამედროვე ცხოვრებას.

რაც შეეხება „ჩემი უფროსი და“-ს, იგი პირველ ყოვლისა, რეჟისორისთვის არის საინტერესო. მე მგონია, რომ სწორად მოიქცა ნ. ვეზა, როცა ამ პიესას მოჰკიდა ხელი. რეჟისორმა ცხოვრებას შეხედა უმცროსი დის თვალით. ამიტომაც ჰქვიან პიესას „ჩემი უფროსი და“. მე მგონია, რეჟისორის ჩანაფიქრი და მი-

სი ზოზიცია გამართლებულია. პირველ რიგში აღსანიშნავია სემინას თამაში უფროსი დის როლში. ასევე კარგია ნ. კილასონისე უფროსი დის როლში. სასიხარულოა, რომ ნ. კილასონიმე ყოველ ახალ როლში იზრდება.

მაგრამ, — დასძინს ე. გუგუშვილი, — მეტად წინააღმდეგი ვარ „მილიონერი ქალის“ რეპერტუარში შეტანისა, იმიტომ, რომ ეს პიესა ბერნარ შოუს შემოქმედებაში ყველაზე სუსტი პიესაა. იგი არ იძლევა საშუალებას სახეების ღრმა გახსნიათვის. არაფერს აძლევს არც რეჟისორს და არც მსახიობებს.

რაც შეეხება სპექტაკლს „მოწინააღმდეგესთან გადასული“. მეც მომეწონა. განსაკუთრებით უკანასკნელი მოქმედება. პიესა რეალისტური ნაწარმოებია და მეტად აქტუალურად უყერს. მაგრამ მაქვს ორიოდე შენიშვნაც. პირველი ისა, რომ არყის ხეები მეტისმეტად ბუტყფორულად გამოიყურება. გაჭიანურებულია სცენები კაჭკაჭთან და სხვა.

პოლკოვნიკმა კოტელენკომ ილაპარაკა გრიბოდოვის სახ. თეატრის შემოქმედებით მუშაობაზე და თეატრის კოლექტივის მეგობრობაზე მამხედრო ნაწილებთან. აღნიშნა სპექტაკლ „მოწინააღმდეგესთან გადასულის“ ღირსება. თეატრი ამ სპექტაკლით შეხვდა დიდ თარიღს — ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავს.

— ჩვენი გენერლები, ოფიცრები და რიგითი შემადგენლობა. — დასძინა ამხ. კოტელენკომ, — ყოველთვის ახლოს არიან გრიბოდოვის თეატრის კოლექტივთან და ისინი თავიანთ მეგობრულ რჩევას არ იშურებენ ამა თუ იმ დადგმების შესახებ.

დრამატურგმა ო. ჩიკვაძემ ილაპარაკა უმთავრესად სპექტაკლზე „მოწინააღმდეგესთან გადასული“. მე, როგორც დრამატურგი. — განაცხადა მან, — შეეგებები პიესის დრამატულ მხარეს. მართალია კარგი სპექტაკლია. მაგრამ ეს პირველ რიგში მიეწერება რეჟისორ მ. პიასეცის შესანიშნავ ნამუშევარს. სპექტაკლში დაკავებული მსახიობები თავის ადგილზე არიან და შესანიშნავად მიჰყავთ როლები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ი. შევჩუკი (ვალტერი), დ. სლავინი (რუბცოვი) და ი. ზლობინი (გენერალი). მე დრამატურგებს არ ვეთანხმები ერთში: სახელდობრ, რუბცოვის სახის ჩამოყალიბებაში. რადგან იგი ერთფეროვნაია თავიდან ბოლომდე. მას სძულს გერმანელები.



მაგრამ ვალტერი ხომ ის გერმანელი არ არის. ვინც უნდა სძულდეს? რუბცოვის სახეში არ არის არავითარი ევოლუცია, რომ იგი იცვლიდეს თავის დამოკიდებულებას. მეორე შენიშვნა, რაც მე მინდა გავაკეთო, ეს არის გენერლის ტანსაცმელი, რომელიც რიაზანელ ვაჭრის ტანსაცმელს უფრო ჰგავს, ვიდრე გენერლისას. აქ ითქვა, რომ იგი პარტიზანების გენერალიაო, მაგრამ მაინც არ არის გამართლებად. გენერალი არის გენერალი! ამიტომ მას უნდა ეტყვას გენერლის შესაფერი ტანისამოსი.

გრიბოედოვის სახელობის თეატრი, — აცხადებს ხელ. დამს. მოღვაწე. რეჟისორი ო. ალექსიშვილი. — როგორც რუსული თეატრი. მოწოდებულია ქართველ მაყურებელს გააცნოს რუსული დრამატურგია, ეს მხოლოდ თანამედროვე პიესებით არ შეიძლება. დღეს აქ განხილულ პიესებს შორის კი არ იყო არც ერთი რუსული კლასიკა! ამასთან ერთად ხშირად სცენიდან შერეული აქცენტი ისმის. ჩემის აზრით, ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. — გრიბოედოვის თეატრის სცენიდან უნდა ისმოდეს წმინდა რუსული ენა.

— აქ ბევრი ითქვა, — განაცხადა საქ. სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. დვალისვილი. — იმის შესახებ. რომ გრიბოედოვის თეატრს არ ჰყავს დღემდე მთავარი რეჟისორი. ეს მართალია. მაგრამ არც ისე ადვილია მისი მოძებნა. რა თქმა უნდა, მთავარი რეჟისორი, გამოცდილი ადამიანი მართლაც საჭიროა, რომელიც დარაზმავს თეატრის კო-

ლექტივს ახალ-ახალი შემოქმედებითი ტენდენციებისათვის.

ა. დვალისვილი დასძენს. რომ გამოსული ამხანაგები მწვავედ აკრიტიკებდნენ თეატრის მუშაობას, და ისინი სამართლიანი იყვნენ ამაში. დე. ნურავის ნუ ეწყინება ასეთი კრიტიკა. რა თქმა უნდა, მართალი იყვნენ ორატორები იმაშიც, რომ ჩვენი თეატრის ახალ სპექტაკლებზე ნაკლებად. ან სულაც არ იწერება რეცენზიები ჩვენს რესპუბლიკურ პრესაში.

სიმართლე გითხრათ. — განაცხადა თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძემ თავის სიტყვაში. — მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი იმისა, რომ მსახიობებს რეჟისორობაც დაეწყოთ და სპექტაკლები დაედგათ. მაშინ, როცა არც თუ ისე ღარიბები ვართ რეჟისორებით! მაგრამ, როცა მე მ. პიასეცკის სპექტაკლი „მოწინააღმდეგესთან გადასული“ ვნახე, ჩემი აზრი შევიცვალე. დე. დაიდგას სპექტაკლი თუნდ მსახიობის რეჟისორობით, ოღონდაც სპექტაკლი იყოს ისეთივე მაღალი დონისა და შესანიშნავი, როგორც ეს მსახიობმა-რეჟისორმა პიასეცკიმ შექმნა „მოწინააღმდეგესთან გადასული“-ს სახით.

ნ. შვანგირაძე უერთდება იმ აზრს, რომ გრიბოედოვის თეატრში ქართული პიესებიც კრტა იდგმება.

რეჟისორმა ნელი ეშბამ, თეატრის დირექტორმა პ. მურღულიამ ილაპარაკეს გრიბოედოვის თეატრის მომავალ პერსპექტივებზე, შემოქმედებით ამოცანებზე. დასასრულ დისპუტის მუშაობა შეაჯამა ო. ეგაძემ.



სამქატაკლავის განხილვა

1965 წლის 5 აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო რუსულ მოზარდ მავსურებელთა თეატრის სამქატაკლავის განხილვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქ. ალკც ცენტრალურ კომიტეტთან არსებული თეატრალური სექციის წევრებმა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილების გამგემ ნინო შვანგირაძემ. მან აღნიშნა: რუსულ მოზარდ-მავსურებელთა თეატრის სამქატაკლავის დღევანდელ განხილვას ერთი მიზანი აქვს: თეატრის კოლექტივის ნამუშევარი ფართო მსჯელობის საგნად გავხადოთ, ვილაპარაკოთ, როგორც მის მიღწევებზე, ისე ნაკლოვანებებზე. ამავე დროს დავსახოთ ღონისძიებები, რითაც ხელს შეეწყობთ და დავეხმარებით თეატრის კოლექტივს უფრო უკეთ წარმართოს თავისი შემოქმედებითი მუშაობა.

ჩემი ვიცი, — აცხადებს ნ. შვანგირაძე, — რომ თეატრს მეტად რთული სამუშაო პირობები აქვს. ამჟამად მას არ გააჩნია საკუთარი შენობა. იგი შეკედლებულია კავშირგამბელობის საინისტროს კულტურის სახლში და ხშირად უხდება აქა-იქა წაწალი. როგორც თვით ქალაქის სხვადასხვა სასწავლებლებში და კლუბებში, ისე ქალაქ გარეთაც. რაც უმკველია, დიდ უარყოფით გავლენას ახდენს თეატრის შემოქმედებით მუშაობაზე.

— მე, როგორც თეატრის მუშაკი, — განაცხადა რეჟისორმა მიხ. გიემყრელმა, — უფლება არა მაქვს დღეს აქ მართოდენ მეთვალყურე ვიყო. რეკენზენტი ან მართო სიტყვაში გამომსველი! პირიქით, მე მახარებს ამ თეატრის ყოველი მიღწევა, მაგრამ მეტად მწვავედ განვიცი მის ყოველ ნაკლოვანებას. ამიტომ

ტომ მინდა ჩემი შეხედულებები მოვახსენოთ სრულიად პირუთენელად და ობიექტურად, რათა ჩვენი კეთილგანწყობილებითა და კარგი დამოკიდებულებით დავეხმაროთ თეატრს მუშაობის გაუმჯობესებაში. პირველი სამქატაკლი, რომელიც ამ დათვალეობის დროს ვნახე, ეს იყო „ვინ მოჰკლა თომა“. მინდა აღვნიშნო, რომ თეატრი სწორად მოქცეულა, როცა ეს პიესა თავის რეპერტუარში შეუტანია. ეს პიესა სავეხებით შეეფარდება თეატრის ხასიათს. მის ამოცანებს და. თუ გენებავთ, მის ტრადიციებსაც. ეს იმითაც არის საინტერესო, რომ მავსურებელთა თვალწინ წარმოდგება გაწამებული ბიძია თომას ტრაგედია. რომლის დაუვიწყარი სახე ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე გვაქვს შეთვისებული ბიწერ სტოუს ცნობილი ნაწარმოებიდან „ბიძია თომას ქოხი“. სამქატაკლში თომას როლს ასრულებს მსახიობი აივანზოვი. უნდა ითქვას, რომ მსახიობს კარგად აქვს დაძლეული როლი და დამაჯერებლადაც მიჰყავს. მაგრამ მინდოდა თომა მენახა არა ისეთი პასიური, როგორც ეს მოთხრობის აქტორს აქვს, არამედ უფრო აქტიური და მებრძოლი. სცენაზე სორცმესხმული, რომელიც დღევანდელ თომას შეეფერებოდა. სამწუხაროდ, გამოტეხით უნდა ვთქვა, რომ ეს ვერ შევნიშნე ამ სამქატაკლში.

მეორე სამქატაკლი არის „ექიმი აიბოლიტის“ ინსცენირება. რომელსაც ეწოდება „რა გვითხრა ჯადოქარმა“. სამქატაკლი უმთავრესად ზღაპრის ენისა და მომხიბვლელად არის გაფორმებული, მაგრამ საჭირო იყო ერთგვარი ზომიერება.

სცენაზე სინათლის ხაზები ქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ვიღაც რენტგენის წინ არის გაჩერებული. გაფორმება უნდა გამოხატავდეს მეტ სიხარულს, მეტ ფერებსა და. თუ გენებავთ, ჯადოქრობასაც.



გარდა ამისა, არ მესმის რატომ დასჭირდათ სპექტაკლის ავტორებს აენიჭებინათ საათი ისე, როგორც ეს ქალაქის კურანტები ხმაურობენ ხოლმე. მაშინ, როდესაც ეს პირობითი მაღვიძარა საათი უნდა იყოს! ჩემი აზრით, პიესა „ექიმი აიბოლიტი“ განმეორება არ უნდა ყოფილიყო. ზღაპრის დამოუკიდებელი ინსცენირება უფრო მოიკებდა. არც ის მიმაჩნია მიზანშეწონილად. რომ ყველა ცხოველები ერთად არიან ოთახში. ისინი ჯერ ერთად გამოდიან ოთახიდან და მერე ისევ ერთად შედიან ოთახში. ანდა ძროხა თითონ რომ ისინჯავს ტემპერატურას! მაშინ რაღა საჭიროა ექიმი აიბოლიტი? არ შეიძლება მხატვარს არ ვუსაყვედუროთ ის, რომ ტყე ნამდვილ ტყეს კი არ გავს, არამედ ფანქრების ტყეს!

სპექტაკლ „ასოთხი ფურცელი სიყვარულის შესახებ“ მ. გიგიმყრელმა აღნიშნა, რომ არის მართკ სათაური და ჩანაფიქრი. დანარჩენი შესრულებულია ზერელედ და არადამაჯერებლად. აბა რანაირად შეიძლება სიყვარულის ფურცლებით განსაზღვრა? რატომ ასოთხი ფურცელი და არა ასოთხნმეტი?

მ. გიგიმყრელმა კარგი შეფასება მისცა სპექტაკლ „ჰინჭრაქას“. მის დამდგმელ რეჟისორს, მხატვარს და მთავარი როლების შემსრულებლებს.

თეატრმოცოდნე მ. გოგოლაშვილმა ძირითადად განიხილა ორი სპექტაკლი: „ორი მეგობარი“ და „ისინი გაფრინდებიან“. მან აღნიშნა, რომ რუსულ თეატრს რეპერტუარის შერჩევისათვის შედარებით უკეთესი პირობები აქვს, ვიდრე ქართულ თეატრს. რადგან რუსულ ენაზე ბლომად არსებობს პიესები, როგორც ორიგინალური, ისე უცხოურიდან თარგმანი.

— სამწუხაროდ, — დასძინა მ. გოგოლაშვილმა, — თეატრი არასწორად მოიქცა, როცა პიესა „ისინი გაფრინდებიან“ თავის რეპერტუარში შეიტანა. პიესის თემა არ შეეფერება თეატრის სპეციფიკას. ვერ გაიგებთ პიესა რომელი ასაკისათვის არის დაწერილი. გარდა ამისა. მეტად ბუნდოვანია მისი შინაარსი. მაგ., როცა ვეკითხებოდი ჩემს გვერდში მჯდომ ბავშვებს. თუ რა გაიგეს სპექტაკლიდან. მათ ვერაფერი მიპასუხეს.

— რაც შეეხება „ორ მეგობარს“ — იგი ნორჩი მაყურებლისათვის საინტერესოა. მართალია. სპექტაკლს სტუდიური ხასიათი აქვს. რადგან მასში ო. ბელენკოსა და კურკინას გარდა მო-

ნაწილობას იღებენ სტუდიელები, სპექტაკლი უკვე შეიყვარა მაყურებელმა წარმატებებითაც სარგებლობს იგი ნაყურებლებში.

— მალე რუსულ მოზარდს, — დასძინა გოგოლაშვილი, — 38 წელი შეუსრულდება. ამ ხნის მანძილზე მას არაერთი შესანიშნავი საეტაპო სპექტაკლი შეუქმნია და ვფიქრობ, რომ მომავალშიც განაგრძობს თეატრის კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას. კვლავ გვიჩვენებს მალღმხატვრულ სპექტაკლებს.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ო. ალექსიშვილმა უმთავრესად ილაპარაკა თეატრის შემოქმედებით ზრდაზე. კოლექტივიმ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობების გამოჩენაზე. რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ თეატრის საუკეთესო ტრადიციებს.

— ჩვენ ვმუშაობთ ბავშვებისათვის, — დასძინა ბოლოს ალექსიშვილმა. — მამასადამე, ყველაფერი უნდა იყოს მართალი და ბავშვებისათვის გასაგებად მოტანილი.


თავის გამოსვლაში ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ჰელიძე შეეხებოდა მაყურებელთა თეატრების დღევანდელ მუშაობას, მათ სპეციფიკას. მათ რეპერტუარს და ილაპარაკა იმ პირობებზე, რომელშიც მათ უხდებოდათ შემოქმედებითი მუშაობა. ჩვენ თეატრებს. — დასძინა მან, — დამძულე მუშაობა უხდებოდა. ზოგჯერ თვეში 48 სპექტაკლს ვთამაშობთ, რაც არანორმალურია. როდისღა მოვამზადოთ ახალი სპექტაკლები? ან რა ხარისხი უნდა ჰქონდეს ასეთ წარმოდგენებს. როცა დღეში ორი და ზოგჯერ სამ სპექტაკლს წარმოდგენა გვიხდება! ჩვენ ვეძებთ ისეთ პიესებს, რომლებშიც ცოტა მოქმედი პირები არიან ან ადვილად გასაფორმებელია და სხვა. რის გამოც ხანდახან უფრო მდარე პიესის დადგმა გვიხდება, ვიდრე კარგისა. ყოველივე ეს გავლენას ახდენს სპექტაკლების მხატვრულ მხარეზე და როლების შემსრულებლებზედაც. ამაზე კი ნაკლებად ფიქრობენ. ჩემის აზრით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდ მაყურებელთა თეატრებს. ყოველმხრივ, როგორც მატერიალურად. ისე შემოქმედებითად. მართალია, რუსულ მოზარდს დღეს-დღეობით არ აქვს საკუთარი შენობა და მისი მუშაობა ერთობ გაძნელებულია. მაგრამ არც ჩვენ ვართ უკე-



საქართველოს
რესპუბლიკის
ქვეყნური
ბიბლიოთეკა

თეს პირობებში, რადგან ჩვენი პატარა თეატრი დიდი ხანია ვეღარ აკმაყოფილებს მოზღვავებულ მაყურებელთა მოთხოვნილებას. ამიტომ ორივე თეატრისათვის საჭიროა ნამდვილი თანამედროვე სახის შენობები, სადაც საშუალება გვქნება უფრო ფართოდ გავშალოთ შემოქმედებითი მუშაობა.

რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელმა ი. გვინჩიძემ და ამავე თეატრის რეჟისორმა რ. შაფთოშვილმა ილაპარაკეს თეატრის მომავალ მუშაობასა და მის ამოცანებზე.



ფ. ბეიკიანის საიუბილეო საღამო

მიმდინარე წლის 12 აპრილს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და შაუმიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხურ-მა თეატრმა საიუბილეო საღამო მოუწყვეს საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორ ფერდინანდ პავლეს ძე ბეიკიანს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, რომელმაც მოკლედ აღნიშნა ფ. ბეიკიანის დამსახურება თბილისის სომხურ თეატრში, სომეხი და ქართველი ხალხის დაახლოვებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

— დღეს, — განაცხადა მისასალმებელ სიტყვაში ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დავით ჩხეიძემ, — საქართველოს ხელოვნების მუშაკები და თბილისის საზოგადოებრიობა ღირსეულად აღნიშნავენ ფერდინანდ ბეიკიანის დაბადებიდან 60 წლისა და მისი სასცენო შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს. დიდა ფ. ბეიკიანის დამსახურება ქართველი და სომეხი მსახურების წინაშე. მის მიერ ოსტატურად განხორციელებული სპექტაკლები ყოველთვის მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა.

შემდეგი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი სურენ ავჩიანი. მან ილაპარაკა ბეიკიანის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის შესახებ. ფ. ბეიკიანმა, — თქვა მან, — სცენაზე მუშაობა 1921 წელს დაიწყო დონის როსტოვში, ჯერ რუსულ თეატრში, ხოლო 1923 წლიდან, დრამატული სტუდიის დამთავრების შემდეგ, იგი შედის იმავე როსტოვის სომხურ

დასში, რომელსაც რესპუბლიკის სახალხო არტისტი ცოლაკ ამერიკიანი ხელმძღვანელობდა.

1936 წელს ფ. ბეიკიანი ვადაღის ხარკოვში, სადაც ორწლიანი სარეჟისორო კურსების დამთავრების შემდეგ, მას იწყვეენ სრულიად უკრაინის მოძრავი სომხური თეატრის მთავარ რეჟისორად. მალე ხარკოვის სომხური თეატრის რეორგანიზაციის შემდეგ იგი ვადაღის თბილისში. მუშაობას იწყებს შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის თეატრში. თბილისის სომხურ თეატრში მოღვაწეობის პერიოდში მას განხორციელებული აქვს 100-ზე მეტი დადგმა. მათ შორის სომეხი, ქართველი, აზერბაიჯანელი. რუსი, აგრეთვე საზღვარგარეთელი ავტორების პიესები: „პატიოსნებისთვის“, „პეპო“, „ჩაძირული ქვები“, „რევიზორი“, „საიათნოვა“, „ახალგაზრდა გვარდია“, „უჩაღლები“, „ვაგიფი“, „ოტელიო“ და მრ. სხვა.

ფ. ბეიკიანის თეატრში მუშაობა. — აცხადებს მისალმებით გამოუსული თეატრმცოდნე ს. არუთინიანი, — მარტო რეჟისორული მუშაობით როდი განისაზღვრება. მას, როგორც მსახიობს. ბრწყინვალედ აქვს განხორციელებული ძმა ბაღდასარი, შმაგა, რასაულაევი, სეანარელი, შეანდია და მრ. სხვა.

თეატრალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1950 წ. ფ. ბ. ბეიკიანს მიენიჭა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

იუბილარს გულთბილად მიესალმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. კილასონიძე, შაუმიანის სახელობის სომხური თეატრის კოლექტივი და თბილისის სხვა თეატრების წარმომადგენლები.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა

1965 წლის II კვარტალში

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ იმ ღონისძიებების გარდა, რომლებიც გაუშუქებულია „მოამბის“ მეორე ნომერში, ჩაატარა კიდევ შემდეგი ღონისძიებები:

მხატვრის სახელმწიფო თეატრში განხილულ იქნა სპექტაკლები: „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“, „შვიდი ყვირილი ოკეანეში“, „ლაღატი“, „დევიძების ოჯახი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მარია ტიხონი“, „ბაბთიანი გოგონა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს — ნ. შვანგირაძემ, ი. მეგრელიძემ, ვ. ჭელიძემ, ალ. შალუტაშვილმა, ც. ყიფიანმა.

ამავე პერიოდში განხილულ იქნა სპექტაკლები: ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრში „ეთერი ჩრდილები“, „მედია“, „სისხლიანი ქორალი“. (მონაწილეობა მიიღო თეატრმცოდნე ვ. კიკნაძემ), სოხუმის სახელმწიფო თეატრში — „მთაში ნათქვამი“ (შ. კილასნიძე), „ახირებული“ და „მთაში ნათქვამი“ (ეთ. გუგუშვილი), თელავის სახელმწიფო თეატრში — „ჯარისკაცის ქვრივი“, (მ. ცხომარია), აკ. წერეთლის სახ. ჭიათურის სახელმწიფო თეატრში — „გრიგლი“ (პ. ფრანგიშვილი), თელავის თეატრში — „სარდაფის ყაყაჩო“ (მ. გოგოლაშვილი), ცხინვალის თეატრის ქართულ დასში — „მთის ლეგენდა“ (ნ. კველიშვილი) და სხვა.

წაკითხული იქნა მოხსენებები: თელავის თეატრის დასში თემაზე „ალ. კორნეიჩუკის ცხოვრება და შემოქმედება“ (მომხს. მ. ცხომარია), ჭიათურის თეატრში — „მსახიობის ოსტატობა“ (მომხს. პ. ფრანგიშვილი), ვ. გუნიას სახ. ფოთის სახელმწიფო თეატრში — „ქართული თეატრის მოღვაწეები დიდ სამამულე ომში“ (მომხს. ნ. კველიშვილი) და სხვა.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს დედაქალაქ თბილისს საგასტროლოდ ესტუმრა ფრანგული თეატრი „ატელიე“. თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა სპექტაკლები: „ანტიგონა“ (სოფოკ-

ლეს მიხედვით), „დაკრძალვა“, „ერთი თვე სოფლად“, „სევილიელი დალაქი“ და სხვ.

გასტროლების დამფარვეების შემდეგ 21 ივნისს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში ჩატარდა თეატრ „ატელიე“ დათანხმებულად, სადაც, გარდა ფრანგული თეატრის მსახიობებისა, ესწრებოდნენ თბილისის თეატრების მსახიობები და კულტურის სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპ. სახ. არტისტმა დ. ანთაძემ. მან მოკლედ ილაპარაკა ქართველი და ფრანგი ხალხების ურთიერთობაზე წარსულში და დასძინა, რომ საფრანგეთის თეატრმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ მაყურებელზე. თეატრ „ატელიე“ ჩამოსვლა ჩვენთვის ძვირფასია იმიტომ, რომ მის შექმნაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა.


მეგობრობის დიდი ტრადიციები აკავშირებს ერთმანეთთან ფრანგულ და ქართულ თეატრებს, — განაცხადა მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა, — საფრანგეთში მიიღეს თეატრალური განათლება ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა კ. მესხმა, გ. ჯაბადარმა, კ. ანდრონიკაშვილმა, ლ. გუდიაშვილმა და სხვებმა.

აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი ნუშაობა გასწიეს საფრანგეთის მოღვაწეებმა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ფრანგულად თარგმნასა და გამოცემაზე და აგრეთვე ქართული ხელოვნების ისტორიის ფრანგი ხალხისათვის გაცნობის საქმეში.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები: ვასო გოძიაშვილი და აკ. ვასაძე, დრამატურგი ო. ჩიჯავაძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნ. შალუტაშვილი, მ. ყუშიტაშვილი და სხვა.

კინო-რეჟისორმა შ. გედევანიშვილმა, რომელსაც პარიზში უცხოურია, მოიტანა „ატელიეს“ 1925—1926 წ.წ. სეზონის პროგრამა, ხოლო მ. ყუშიტაშვილმა ვასო ყუშიტაშვილის სადარბაზო ბარათი, რომელშიც იტყობინებოდა, რომ სპექტაკლ „მარაოს“ (რომელსაც იგი „ატელიეში“ დგამდა) გაფორმება დავაუღლე ნიჭიერ მხატვარ ანდრე ბარსაკსო. ანდრე ბარსაკი ამჟამად თეატრ „ატელიეს“ ხელმძღვანელობს. მან საპასუხო სიტყვა წარმოიტყვა შეხვედრაზე.

დარბაზობის შემდეგ ფრანგი ეწვიენენ მარჯანიშვილის სახ. თეატრს, სადაც მათ დაათვალიერეს ვ. ყუშიტაშვილის დადგმების ესკიზებისა და ფოტოსურათების გამოფენა. დასი ეწვია აგრეთვე დიდუბის პანთეონს, სადაც ყვევილებით შეამკო ვ. ყუშიტაშვილის საფლავი. მთარგმნელებად ახლდნენ ს. წულაძე, გ. ბუაჩიძე და მ. ბაქრაძე.



Краткая аннотация

Современность — главным образом

Конец сезона — своеобразный итог. Прошлый театральный сезон в Тбилиси — сезон острых дискуссий. Споры отражают важнейшие процессы в развитии современного грузинского театра. Особенно обострился вопрос традиции и новаторства — вечный вопрос непрерывно развивающегося искусства театра. Автор говорит о необходимости сохранения традиции и умения отличить лженоваторство от новаторства подлинного. О повышении общего уровня режиссерского искусства в Грузии

в то же время о недостаточной внимательности к воплощению современных пьес. О слабости творческой связи театров с драматургами. Предъявлялись серьезные претензии к театральной критике, которая недостаточно требовательна. К театрам не всегда объективна и профессиональна. В заключении, автор напоминает работникам театра о предстоящем в будущем году юбилее Шота Руставели и о том, к чему этот юбилей обязывает всех творческих работников Грузии.

П Л Е Н У М Ы

XI пленум Театрального Общества Грузии

Пленум был посвящен вопросу подготовки к празднованию 50-летия Октябрьской революции и 100-летия со дня рождения В. И. Ленина. С докладом выступил секретарь ЦК Компартии Грузии тов. Д. Г.

Стураа. Он говорил о традиции празднования таких важнейших дат, о мировом значении Октябрьской революции, о роли ее в развитии культуры и искусства вообще, и в частности, в развитии грузинского те-



атра, о необходимости консолидации творческих сил всех видов искусства. Докладчик выделил три проблемы: творческая позиция художника, вопрос традиции и новаторства и организационный вопрос. Каждый вопрос был рассмотрен на конкретных примерах различных видов искусства и в органической связи с исторической действительностью. Докладчик часто ссылается на интересные высказывания выдающихся деятелей искусства. Самым необходимым считает партийность позиции художника всегда и во всем, умение видеть то положительное, что является главной и ведущей тенденцией нашей общественной жизни, органическую связь прошлого

с настоящим, как закономерного процесса развития.

Докладчик предлагает ряд конкретных мероприятий для максимального улучшения организации предстоящих юбилеев.

В прениях по докладу приняли участие режиссеры, актеры, критики, общественные деятели различных отраслей. Все единодушно отмечали важность и значение предстоящих юбилеев и необходимость поднять общий уровень грузинского искусства для того, чтобы достойно встретить два славных и важных праздника.

Пленум подытожил председатель президиума Грузинского Театрального Общества Д. Антадзе.

XII Пленум V созыва

28 июля 1965 г. состоялся XII пленум ТО Грузии, посвященный итогам сезона (1964 — 1965 г.г.).

После вступительного слова председатель президиума ТО Грузии Д. Антадзе, выступает докладчик — главный редактор репертуарной коллегии Министерства Культуры Грузинской ССР тов. А. Цулукидзе.

Он говорит о важных традициях грузинского театра, о становлении национальной драматургии, о репертуарной политике ведущих театров республики. О заметном творческом успехе некоторых коллективов, особенно кутаисского театра им. Месхишвили. Об особой плодотворности творческой деятельности коллектива им. Марджанишвили. Хвалит отдельные постановки молодых режиссеров в разных театрах. Критикует постановки последних сезонов театра им. Руставели.

Выступившие в прениях тов. Н. Швангирадзе, Б. Жгенти, И. Тавадзе говорили о творческой деятельности отдельных театров республики, о вреде увеличения ко-

личества инсценировок, о трудностях существования театра без дотации, об удачах и неудачах сезона, об отношении к традициям, о молодой режиссуре и необходимости поддерживать и помогать ей в творческом росте, о смелом выдвижении молодых артистов.

Министр культуры Грузинской ССР О. Тактакишвили говорил о репертуаре вообще, критиковал репертуарную линию театра им. Руставели в предыдущих сезонах. В этом вопросе работу театра им. Марджанишвили считает более плодотворной и успешной. Остановливается на мероприятиях, связанных с юбилеем Руставели.

Пленум приветствовал зам. председателя ТО Украины тов. В. Харченко.

Выступили товарищи: А. Васадзе, Г. Лорткианидзе, А. Кутателадзе, А. Абшилава, А. Чхартшвили, С. Закариадзе, Е. Ахвледiani.

Пленум подытожил председатель ТО Грузии тов. Д. Антадзе.

Гастроли Одесского музыкально-драматического театра в Тбилиси

С 16 по 29 мая 1965 года в Тбилиси гастролировал Одесский музыкально-драматический театр им. Октябрьской революции. 29 июня президиум Грузинского Театрального Общества и правление Дома Работников Искусств устроили обсуждение гастрольных спектаклей. Гостей приветствовал член президиума Грузинского Театрального Общества Д. М. Мчедлидзе. Он говорил о специфике музыкального театра и о сложностях его творчества. Режиссер Р. Шантошвили вкратце обрисовал творческий облик театра, разобрал спектакль «За двумя зайцами» в постановке А. Рубина, работу которого оценил как блестящую победу режиссера. Подробно разобрал актерские работы. Признал неудовлетворительным работу художника.

Драматург О. Чиджавадзе говорил о национальной классике в репертуаре театра, об исполнении отдельных ролей в клас-

ических пьесах. Выступил с резкой критикой работы художника Матовича.

Режиссер М. Гижимкрели коснулся режиссуры театра, в связи с этим вопросом ансамблевости актерского исполнения, критиковал художественно-декоративную сторону театра.

Режиссер М. Ольшаницкая говорила о творческом облике театра, о репертуаре, подробно разобрала спектакль «Цыганка Аза». Д. Чхеидзе вспомнил о традициях дружбы украинского и грузинского народов, высказал свое удовольствие по поводу радушия, с которым тбилисцы принимали украинских друзей и на этот раз.

Художественный руководитель Одесского театра Н. И. Орлов в ответном слове выразил благодарность всем, кто содействовал успеху гастролей украинского театра в Тбилиси и благодарил выступивших товарищей за дружеские замечания и советы.

Обсуждение спектаклей театра им. Грибоедова

10 мая 1965 г. в Доме Работников Искусств Грузинское Театральное Общество устроило обсуждение спектаклей, идущих на сцене театра им. Грибоедова в текущем сезоне. Заседание со вступительным словом открыл член президиума Грузинского Театрального Общества О. Эгадзе. Он говорил о пользе таких встреч и об'ективной, товарищеской критики.

Выступающие товарищи Н. Урушадзе, М. Гижимкрели, Э. Гугушвили, Котеленко, О. Чиджавадзе, О. Алексашвили, А. Двалишвили, Н. Швангирадзе говорили о репертуарной линии театра, в котором наряду с высокохудожественными и граж-

дански-нужными пьесами много случайных и художественно слабых произведений. Отмечалось и то, что количество режиссеров не принесло творческого многообразия режиссерских индивидуальностей — спектакли различных режиссеров похожи друг на друга. Говорили об отдельных актерских достижениях, о недостаточном уровне чистоты русского сценического слова.

С ответным словом выступили режиссер театра Н. Эшба и директор П. Л. Мургулия. Они говорили о перспективах театра и задачах на будущее.

Диспут подытожил О. Эгадзе.

Обсуждения спектаклей Тбилисского Русского ТЮЗа

5 апреля 1965 года в Доме Работников Искусств Грузинское Театральное Общество устроило обсуждение спектаклей Тбилисского Русского ТЮЗа. В обсуждениях принимали участие члены театральной секции при ЦК Комсомола Грузии. Со вступительным словом выступил зав. научно-творческим отделом Грузинского Театрального Общества Н. Швангирадзе. Она говорила о задачах театра для юных, о тяжелых условиях работы Тбилисского Русского ТЮЗа, не имеющего собственного помещения, о необходимости товарищеской помощи в творческой работе.

Принимавшие в диспуте участие товарищи М. Гижимкрели, М. Гоголашвили,

О. Алексивили, С. Челидзе обсуждали репертуар театра в свете его назначения, с этой точки зрения оценивая каждую пьесу для всех возрастов зрителей данного театра. Говорили о творческом росте коллектива в его нескольких поколениях, о преемственности традиций реалистической актерской игры. О возрастающих вкусах и требованиях юных зрителей, для удовлетворения которых необходимо улучшить условия творческой работы ТЮЗ-ов.

Руководитель Тбилисского Русского ТЮЗ-а И. Гвинчидзе и режиссер Р. Шаптовшили рассказали присутствующим о планах и задачах театра на будущее.

Юбилейный вечер Ф. Бжикяна

12 апреля 1965 г. Министерство культуры Грузинской ССР, Грузинское Театральное Общество и театр им. Шаумяна устроили юбилейный вечер засл. деят. искусств Грузинской ССР Ф. Бжикяну. Вечер со вступительным словом открыл председатель Грузинского Театрального Общества Д. Антадзе, который говорил о заслугах Ф. Бжикяна в деле сближения и

укрепления дружбы армянского и грузинского народов. Юбиляра приветствовали Д. Чхеидзе, С. Авчян, С. Арутюнян, Ш. Киласонидзе и др. Они рассказали о творческом пути Ф. Бжикяна, об его многогранной и плодотворной деятельности как актера, режиссера и руководителя театра.

Деятельность Грузинского Театрального Общества во втором квартале 1965 года

Кроме перечисленных в номере мероприятий, Грузинское Театральное Общество устроило обсуждение спектаклей Махарадзевского театра, Кутайского театра им. Л. Месхишвили, Сухумского, Телавского, Чхатурского, Цхинвальского и др.

В ряде районных театров были прочтены доклады по насущным вопросам современного театра. Состоялась творческая встреча с деятелями гастролирующего в Тбилиси Французского театра «Ателье».

ს ა რ ჩ ი ვ ი

თანამედროვეობა, უპირველეს ყოვლისა (მოწინავე)	23-5
საქართველოს თეატრალური საზოგადოების XI პლენუმი	6
V მოწვევის XII პლენუმი, „სეზონის შედეგები“	10
ოდესის მუსიკალურ-დრამატული თეატრის გასტროლები თბილისში	14
გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლების განხილვა	17
თბილისის რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლების განხილვა	20
ფ. ზეიციანის საიუბილეო საღამო	23
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა 1965 წლის 11 კვარტალში	24



СОДЕРЖАНИЕ

	стр.
Современность, главным образом	3
XI пленум Театрального Общества Грузии	6
XII пленум V созыва «Итоги сезона»	10
Гастроли Одесского музыкально-драматического театра в Тбилиси	14
Обсуждение спектаклей театра им. Грибоедова	17
Обсуждение спектаклей Тбилисского Русского ТЮЗ-а	20
Юбилейный вечер Ф. Вакциана	23
Деятельность ТО Грузии во втором квартале 1965 года	24

Т О Г
В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)

Тбилиси—1965

№ 2 (31)

ფასი კაპ.
Цена 18 коп.

გადაცა წარმოებას 27|VII 1965 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16|VIII 1965 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,0

საქართველოს თეატრალური საზ.ბის სტამბა, თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 2893

УЭ 06711

Тираж 200

24.12/63

